24 თებერვალი
არჩევნების დღეა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1980
წელი
შაბათი
23
თებერვალი
№ 45
(17688)
ფასი
2 კაპ.

გაზეთი გამოდის
1920 წლის
3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ჩვენ მტკიცედ ვატარებთ მაღალი ჩვენი ლენინური საგარეო პოლიტიკის დროშას — საღმოა მშვიდობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დროშას, სოციალური პროგრესის დროშას.

ლ. ი. ბრეჟნევი.

(მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებთან შეხვედრისას წარმოთქმული სიტყვიდან).

ჩვენი კურსია მშვიდობიანი აღმშენებლობა

ამომრჩეველთა შეხვედრა ლ. ი. ბრეჟნევთან

მაღალი შრომითი და პოლიტიკური აქტიურობის ვითარებაში შეეგებენენ ქვეყნის მშრომელები სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში თავიანთ წარგზავნილთა არჩევნებს. საბჭოთა საზოგადოების მონოლითური შეკავშირების მკაფიო დემონსტრაცია იყო ის, რომ ათასობით კოლექტივმა მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების დეპუტატობის კანდიდატებად ერთსულოვნად დაასახელა ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის სხვა ხელმძღვანელები.

22 თებერვალს კრემლის ყრილობათა სასახლეში გაიმართა მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა საარჩევნო კრება, რომელიც მიეძღვნა რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარესთან ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევთან შეხვედრას.

კრების მონაწილენი მჭუხარე, ტაშგრძლივი ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევს, ვ. ვ. გრიშინს, ა. ა. გრომიკოს, ა. ა. პირილენკოს, ა. ნ. კოსიგინს, ა. ი. პელშეს, ვ. ა. სუსლოვს, ნ. ა. ტიხონოვს, დ. თ. უსტინოვს, კ. უ. ჩერნენკოს, ვ. ს. გორბაჩოვს, პ. ნ. დემიჩევს, ვ. ვ. კუზნეცოვს, ბ. ნ. პონომარიოვს, ვ. ს. სოლომენცევს, ი. ვ. კაპიტონოვს, ვ. ი. დოლგიხს, ვ. ვ. ზიმიანინს.

პრეზიდიუმში მათთან ერთად იყვნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეთა მოადგილეები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების თავმჯდომარეები, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მოგრამა და მოსკოვის საბჭოს აღმასკომის წევრები, პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მუშაკები, წარმოების მოწინავენი, მხედართმთავრები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი.

საარჩევნო კრება (გახსნა სკკპ ბაუმანის რაკომის პირველმა მდივანმა ხ. ა. კუპრეევმა.

დღეს, თქვა მან, დედაქალაქის ბაუმანის საარჩევნო ოლქის მშრომელების, ყველა მოსკოველის ცხოვრებაში სახსოვარულო, ბედნიერი დღეა — ვხვდებით რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს ჩვენს დეპუტატობის კანდიდატ — ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეს, დიდი ლენინის საქმის განმგრძობს, შშვიდობისა და კომუნიზმისათვის მებრძოლს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს.

ბაუმანის რაიონის მშრომელებმა, მოსკოველებმა, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანმა, ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი ერთსულოვნად დასახელეს თავიანთ პირველ დეპუტატობის კანდიდატად მომავალ არჩევნებში.

უსაზღვროა საბჭოთა ადამიანების სიყვარული და პატივისცემა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევისადმი, ის უდიდესი ნდობა, რომლითაც იგი სარგებლობს ჩვენი სამშობლოს მშრომელებს, მსოფლიოს ყველა პროგრესულ ადამიანს შორის.

ეს უკვე 15 წელზე მეტია ჩვენ ქვეყნის ყველა შესანიშნავი მოვლენა უკავშირდება ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის დაუცხრომელ, უაღრესად ნაყოფიერ მოღვაწეობას. და მთელი ეს მოღვაწეობა ექვემდებარება მშრომელი ადამიანების ინტერესებს, გამსჭვალულია მაღალი ჰუმანიზმითა და პასუხისმგებლობით არა მარტო დღევანდელობისათვის, არამედ მომავალ თაობათა ბედისათვისაც.

მისთვის დამახასიათებელი ენერგიითა და მიზანსწრაფულობით ლეონიდ ილიას ძე იბრძვის კომუნიზმისათვის, დაუცხრომლად იღვწის, რათა ოქტომბრის იდეები და იდეალები ძლევამოსილად ისხამდეს ხორცს კომუნისტური პარტიის, საბჭოთა ხალხის საქმიანობაში.

ძვირფასო ლეონიდ ილიას ძე, ზედიზედ მრავალი მოწვევა, რაც თქვენ ჩვენი რაიონის მშრომელთა, ყველა მოსკოველის ინტერესებს წარმოადგენთ სსრ კავშირისა და რუსეთის ფედერაციის უმაღლეს საბჭოებში, დიდ მუშაობას ეწევით სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი სრულყოფისათვის, სახალხო ხელისუფლების განმტკიცებისათვის. თქვენ ყოველთვის გულისხმიერად და ყურადღებით ეკიდებით მშრომელთა საქმეებსა და საჭიროებებს, ყოველთვის ზრუნავთ ყველა საბჭოთა ადამიანის ცხოვრებისა და შრომისათვის. ბაუმანის რაიონის მშრომელები ამაყობენ და ბედნიერი არიან, რომ თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძე, კვლავ დასდეთ პატივი და გაუწიეთ ნდობა, როცა დათანხმდით რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ერნი გეყოლათ ჩვენს საარჩევნო ოლქში. ამისათვის, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძე, გულწრფელ მადლიერებასა და დიდ მადლობას მოგახსენებთ.

მოხარული ვართ მოგახსენოთ, ლეონიდ ილიას ძე, რომ 1979 წლის შედეგებით დედაქალაქის ბაუმანის რაიონმა გაიმარჯვა სრულიად რუსეთის სოციალისტურ შეჯიბრებაში და მას გარდამავალი წითელი დროშა მიენიჭა.

როგორც დიდი დღესასწაულისათვის, ისე ემზადებიან რაიონის მშრომელები რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღისათვის, თქვა შემდეგ ორატორმა. წარმატებით სრულდება მიღებული გეგმები და სოციალისტური ვალდებულებები. ყველა შრომითს კოლექტივში მაღალი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობა სუფევს.

24 თებერვალს ბაუმანის ოლქის ამომრჩევლები საარჩევნო ყუთებთან მივლენ, რათა ხმა მისცენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ერთგულ შვილს — ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს. თქვენ რომ ხმას მოგცემთ, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძე, ხმას მივცემთ ჩვენი სამშობლოს შემდგომ აყვავებას, შშვიდობას, ნათელ მომავალს.

დედაქალაქის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა, ყველა მოსკოველის სახელით ს. ა. კუპრეევმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს უსურვა ჯანმრთელობა, ბედნიერება და ახალი დიდი წარმატებანი მთელ მის ნაყოფიერ მოღვაწეობაში ჩვენი პარტიისა და ხალხის საკეთილდღეოდ, კომუნიზმისა და შშვიდობის იდეალების გამარჯვებისათვის.

სიტყვა ეძლევა საანგარიშო-ანალიზური მანქანების ქარხნის რადიომემონტაჟეს ვ. მ. ეფლოვს. მე, როგორც დეპუტატობის კანდიდატს ნდობით აღჭურვილ პირს, თქვა მან, მხვდა დიდი პატივი ამ მაღალი ტრიბუნიდან მოვუწოდო ოლქის ყველა ამომრჩეველს, რომ 24 თებერვალს, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დღეს, ერთსულოვნად მისცენ ხმა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეს ჩვენთვის ძვირფას ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს. ლეონიდ ილიას ძის მთელი ცხოვრების გზა ლენინის ანდერძისადმი, კომუნიზმის დიადი იდეალებისადმი ერთგულების მკაფიო ნიმუშია.

ორატორმა ილაპარაკა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

უკანასკნელი ათწლეულში, თქვა შემდეგ ორატორმა, ჩვენმა ქვეყანამ მოიპოვა დიდი წარმატებანი კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე და ყველაფერი, რასაც მივაღწიეთ, შექმნილია პარტიის ნებით, საბჭოთა ხალხის შრომით. მაგრამ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს და გამოიყოს ის თვალსაჩინო როლი, რომელიც ამ მიღწევებში ეკუთვნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს. დიდ მადლობას ვუხდით შშობლიურ პარტიას, ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობასა და ბედნიერებაზე დაუცხრომელი ზრუნვისათვის, მხურვალედ ვიწონებთ და მხარს ვუჭერთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძნულ საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა პასუხად ჩვენმა ქარხანამ ვალდებულება აიღო ხუთწლედის დავალებანი 1 სექტემბრისათვის შეასრულოს. სიტყვას არ გავჩერდავთ!

დასასრულ ვ. მ. ეფლოვმა თქვა: ჩვენ, დედაქალაქის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებს, წილად ვვხვდა უდიდესი პატივი და დიდი ბედნიერება — რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად ავირჩიოთ უკვდავი ლენინის საქმის ერთგული განმგრძობი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი. ჩვენი ოლქის ყველა ამომრჩეველი 24 თებერვალს სიხარულით, ერთსულოვნად მისცემს ხმას მთელი ხალხის რჩეულს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს.

ტრიბუნაზეა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური აკადემიის რექტორი ვ. ი. პოპოვი. ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი, ხაზგასმით აღნიშნა მან, პარტიისა და ქვეყნის ხელმძღვანელობისათვის უდიდეს მუშაობას ახამებს დიდ და ნაყოფიერ თეორიულ მოღვაწეობასთან. მისი გამოსვლები, სიტყვები, შრომები განვითარებული სოციალიზმის პირობების შესაბამისად მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემოქმედებითი განვითარების ნიმუშია. ისინი ქმნიან თეორიულ ბაზას ქვეყნის შიგნით, მთელ მსოფლიოში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური პროცესების გაგრძელებისათვის. პოლიტიკური ცოდნის ენციკლოპედია, თითოეული კომუნისტის, თითოეული მეცნიერისა და პროპაგანდისტის სამაგიდო წიგნი გახდა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის თვალსაჩინო ნაშრომი „ლენინური კურსი“.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური საგარეო-პოლიტიკური კურსის საფუძველს შეადგენს დღეს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მიერ სკკპ XXIV ყრილობაზე წამოყენებული მშვიდობის პროგრამა, რომელმაც შემდგომი განვითარება პოვა მის მოხსენებაში პარტიის XXV ყრილობაზე. საბჭოთა საგარეო პოლიტიკა ქმედითი, დახვეწილი და კონსტრუქციული პოლიტიკაა, რომელიც გამოირჩევა უდიდესი ინიციატივით მის წინაშე დასახული კეთილშობილური მიზნების განხორციელებაში. მისი არსია მეცნიერული მარქსისტული მიდგომა თანამედროვეობის მოვლენათა შეფასებისადმი, ერთგულება პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებისადმი.

იმის მეოხებით, რომ ჩვენი პარტია უნარიანად, ბრძნულად, შემოქმედებითად ახორციელებს თავის საგარეო-პოლიტიკურ კურსს, ბევრს მივაღწიეთ, და ჩვენი ქვეყნის, ჩვენი პარტიის, ჩვენი ხალხის მთავარი მიღწევა ის არის, რომ როგორც სამართლიანად აღნიშნა ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევმა, შეკვეთილთ გაგვერღვია ტრაგიკული ციკლი: მსოფლიო ომი — ხანმოკლე შშვიდობიანი შესვენება — კვლავ მსოფლიო ომი. ამ ისტორიული შედეგით სამართლიანად ამაყობს საბჭოთა ხალხი, ყველა, ვინც იბრძვის დაძაბულობის შენელებისათვის. ეს არის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის უდიდესი პირადი დამსახურება.

დღეს ჩვენს ქვეყანას უდიდესი ეკონომიკური, მეცნიერული, სამხედრო პოტენციალი აქვს და ყოველივე ეს ადამიანს ემსახურება, ექვემდებარება მთავარ მიზანს — საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას, მისი კულტურული დონის ამაღლებას, მისთვის შშვიდობიანი ცხოვრების პირობების უზრუნველყოფას.

თავის გამოსვლაში № 346 სკოლის მასწავლებელმა გ. ა. მაცნევამ აღნიშნა, რომ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს უთვალსაჩინოესი დვაწლი მიუძღვის ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის უდიდეს მიღწევებში, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესების, მათი შშვიდობიანი ცხოვრების პირობების უზრუნველყოფის საქმეში.

პარტია და მთავრობა უდიდეს მზრუნველობას იჩენენ ხალხის მატერიალური და სულიერი კეთილდღეობისათვის და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ სახალხო განათლების განვითარებას, თქვა მან შემდეგ. რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შორის პერიოდში განხორციელდა გადასვლა საყოველთაო-საშუალო განათლებაზე. ასეთი ამოცანა პირველად წყდება მსოფლიოს ისტორიაში. საყოველთაო-საშუალო განათლება რეალობად იქცა იმიტომ, რომ პარტიამ, სახელმწიფომ სოციალურად და პოლიტიკურად უზრუნველყვეს მისი შესაძლებლობა. მარტო რუსეთის ფედერაციაში უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე საშუალო განათლება მიიღო 10 მილიონზე მეტმა კაცმა.

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის გამოსვლები მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საკითხებზე, მისი შრომა „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის იდეოლოგიური მუშაობის აქტუალური საკითხები“, მოგონებათა წიგნები „მცირე მიწა“, „ალორძინება“ და „ყამირი“ ისე უხვად შეიცავს აღმზრდელობითს იდეებს, რომ დღეს, ეს ჭეშმარიტად პედაგოგიური შრომები რომ არ გვქონდეს, მასწავლებლებს, ვერც კი წარმოგვიდგენია მუშაობა მოზარდი თაობის სულიერი და ზნეობრივი ჩამოყალიბებისათვის.

ჩვენ გვინდა, რომ ჩვენი შვილები ჯანმრთელნი და ბედნიერნი იყვნენ. ამისათვის კი შშვიდობაა საჭირო. მიმართა რა დეპუტატობის კანდიდატს, გ. ა. მაცნევამ თქვა: დედაქალაქის ბაუმანის ოლქის ამომრჩეველთა სახელით გადმოგცემთ თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძე, ჩვენს განაწესს: იმპერიალიზმის ყოველგვარი ხრიკების მიუხედავად განაგრძეთ თქვენი კეთილშობილური მოღვაწეობა, მტკიცე მარქსისტ-ლენინელის, ინტერნაციონალისტისა და ჰუმანისტის მოღვაწეობა ხალხთა შორის შშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებისათვის. ამ კეთილშობილური მისიის შესრულებაში შეგიძლიათ ყველა საბჭოთა ადამიანი მუდამ თქვენთან იგულოთ.

ლ. მ ი ო ნ ო ვ ა — ნ. ე. ბაუმანის სახელობის ფაბრიკის მჭსოველმა თავის გამოსვლაში ულრმესი მადლობა მოახსენა კომუნისტურ პარტიას, მის ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, პირადად ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს იმისათვის, რომ დაუღალავად ზრუნავენ საბჭოთა ადამიანების ცხოვრების, ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესებისათვის.

ყოველი ჩვენგანი პირადად გრძნობს ამ ზრუნვას, თქვა მან. ჩვენს ფაბრიკაში ძირითადად ქალები შრომობენ. ჩვენ კარგი სამუშაო და საწარმოო პირობები გვაქვს შექმნილი, ბევრი რამ კეთდება ჩვენი შრომის შემსუბუქებისათვის, იმისათვის, რომ დაგვეხმარონ შვილების აღზრდაში. და მშრომელი ქალისადმი, დედისადმი ეს უურადღება ჩვენთვის ძალზე ძვირფასია.

ამის პასუხად ვცდილობთ ვიმუშაოთ რაც შეიძლება უკეთ, ნაყოფიერად, თავდაუზოგავად. ჩვენ გვესმის, რომ ის დიდი უფლებები, რომლებიც მუშაკაცს აქვს ჩვენს საზოგადოებაში, დიდ პასუხისმგებლობასაც გვაკისრებს.

ახლახან ჩვენს ფაბრიკას „სანიმუშო საწარმოს“ წოდება მიენიჭა და ჩვენ ძალზე მოხარულნი ვართ, რომ, მოვიპოვეთ რა იგი, ამით ჩვენი წვლილი შევიტანეთ ძვირფასო ლეონიდ ილიას ძე, თქვენ მიერ დასახული ამოცანის შესრულებაში, რომელიც მოსკოვის სანიმუშო კომუნისტურ ქალაქად გადაქცევას გულისხმობს.

ახლა თითოეული ჩვენგანი — საარჩევნო კრების ყოველი მონაწილე, აღნიშნა მოსკოვის ნ. ე. ბაუმანის სახელობის უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის პროფესორმა, დიდი სამამულო ომის ვეტერანმა ი. ბ. სმირნოვმა, ამაყობს და აღფრთოვანებულია — ჩვენ ვხვდებით საყოველთაო-სახალხო დეპუტატობის კანდიდატს, ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს გამოჩენილ მოღვაწეს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს. ეს შეხვედრები მუდამ არის პარტიისა და ხალხის ერთიანობის შესანიშნავი გამოხატულება.

ისევე როგორც მთელ სამეცნიერო-ტექნიკურ ინტელიგენციას, მეცნიერებსაც, უმაღლესი სკოლის მასწავლებლებსაც ჩვენი საზოგადოების წინაშე თავიანთ უპირველეს მოვალეობად მიაჩნიათ აქტიურად შეუწყონ ხელი პარტიის ეგზეგზეს შესრულებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, საშობლოს სოციალურ-ეკონომიკური და თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებას.

შემდეგ ორატორმა დამსწრეთ შეახსენა, რომ მალე ჩვენი ქვეყანა დიდ სამამულო ომში გამარჯვების 35-ე წლისთავს აღნიშნავს, და თქვა: ომის ვეტერანებმა კარგად იციან, თუ რა ძვირად დაგვიჯდა ეს გამარჯვება, იციან, რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნად მშვიდობას. ყოველი ჩვენგანისათვის განსაკუთრებით ახლობელი და გასაგებია, რომ, თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას ძე, რომელმაც ომის გზებით გამოიარეთ 1418-ვე დღე, რომელსაც გესმით, თუ რა უბედურება და ტანჯვა-ვაება მოაქვს ომს ადამიანებისათვის, რა მსხვერპლის ფასად მოიპოვა ჩვენმა ხალხმა გამარჯვება, ასე მგზნებარედ იბრძვით მშვიდობისათვის.

ჩვენ სიამაყისა და მადლიერების გრძნობით ვამბობთ, რომ მშვიდობის შენარჩუნება აი უკვე 35 წლის მანძილზე, საერთაშორისო დაძაბულობის შენელების დამკვიდრება ჩვენი პარტიის, ჩვენი ხალხის უდიდესი გამარჯვებაა და თქვენ, ლეონიდ ილიას ძე, ამ გამარჯვებაში უთვალსაჩინოესი წვლილი შეიტანეთ.

(გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ ბაუმანის რაიონის, ისევე როგორც მთელი მოსკოვისა და ქვეყნის მშრომელები, ახალი მიღწევებით უპასუხებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოწოდებას — დამკვრელური მუშაობის, ლენინური მუშაობის წლად გადავაქციოთ ხუთწლედის დამამთავრებელი წელი.

სიტყვა ეძლევა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს. კრების მონაწილენი ფეხზე დგებიან და ხანგრძლივი ოვაციით მიესალმებიან მას.

კრემლის ყრილობათა სასახლე. დედაქალაქის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა შეხვედრა რსფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევთან.

საკავშირო-საინფორმაციო ტელეფოტო.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

პატივცემულო ამხანაგებო!

ძვირფასო მოსკოველებო!

გულით მახარებს თქვენთან — დედაქალაქის მცხოვრებლებთან, ბაუმანის ოლქის ამომრჩევლებთან და, მე ვიტყოდი, ჩემს ძველ ნაცნობებთან შეხვედრა. სასიამოვნოა, რომ არჩევნებს დიდი მიღწევებით შეეგებეთ. თქვენ, ისევე როგორც დედაქალაქის სხვა რაიონების, ბევრამ ათასმა მშრომელმა უკვე შეასრულა თავისი ხუთწლიანი გეგმები. ასიათასობით მოსკოველმა ვალდებულება იკისრა ეს გეგმები ვლადიმერ ილიას ძე ლენინს დაბადების 110-ე წლისთავისათვის გაანაღდოს. სულითა და გულით გისურვებთ წარმატებას, მეგობრებო!

ლენინის იუბილეს ჩვენი ქვეყანა, ყველა საბჭოთა რესპუბლიკა სოციალისტური შეჯიბრების ახალი გაქანებით, საყოველთაო-სახალხო შემოქმედებითი აღმავლობით ხვდებიან. და, როგორც ყოველთვის, წინ არის მოსკოვი — ბევრი თაოსნობის ინიციატორი, გმირი ქალაქი, მშრომელი ქალაქი, შემოქმედი ქალაქი.

ახლანდელი არჩევნები მიმდინარეობს ორი ათწლეულის მიჯნაზე. წარსულის კუთვნილება გახდა სამოცდაათიანი წლები. დგება ახალი ათწლეული და, ალბათ, ყოველი ჩვენგანი ფიქრობს: როგორი იქნება იგი, ეს ოთხმოციანი წლები? რას მოგვიტანს? როგორ წარიმართება ადამიანთა ბედი, ხალხთა და სახელმწიფოთა ბედი? რა თქმა უნდა, მომავალი მუდამ შეიცავს მოულოდნელობებს, მოვლენათა ისეთ შემობრუნებას, რომელთა გამოცნობა ძნელია. და მაინც ჩვენ, კომუნისტებს, გვჯერა — და არა მარტო გვჯერა, — დარწმუნებული ვართ, ვიცით, რომ ოთხმოციანი წლები იქნება კომუნისტურ მშენებლობაში ახალ წარმატებათა წლები. ოთხმოციანი წლები იქნება მსოფლიო სოციალიზმის განმტკიცებისა და განვითარების, მტკიცე შშვიდობის უზრუნველყოფისათვის ბრძოლის საქმეში ახალი წინსვლის წლები.

ასეთი რწმენა დაფუძნებულია ჩვენი საკუთარი და მსოფლიო განვითარების შედეგების ანალიზზე, ეკონომიკაში, სოციალურ ურთიერთობასა და პოლიტიკაში წამყვან ტენდენციათა გათვალისწინებაზე.

რა ახასიათებს ამ თვალსაზრისით სამოცდაათიან წლებს?

მთელი გასული ათწლეულის მანძილზე გრძელდებოდა ჩვენი სამშობლოს ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შესაძლებლობათა სტაბილური ზრდა. ამან საშუალება მოგვცა არსებითად აგვემაღლებინა ხალხის ცხოვრების დონე, რაც იყო და არის მთელი ჩვენი სამეურნეო საქმიანობის მთავარი მიზანი. სამოცდაათიან წლებში რეალური შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე ერთ-ნახევარჯერ გაიზარდა. 108 მილიონზე მეტმა კაცმა გაიუმჯობესა საბინაო პირობები ეს კი, ამხანაგებო, ქვეყნის მოსახლეობის 40 პროცენტზე მეტია.

სათანადო დონეზეა საბჭოთა კავშირის თავდაცვითი ძლიერებაც. დღეს, საბჭოთა არმიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღესასწაულის წინ, ცენტრალურ კომიტეტს შეუძლია აღუთქვას საბჭოთა ხალხს, რომ ჩვენ გვაქვს ყველაფერი, რაც საჭიროა, რათა საკადრისი პასუხი გავცეთ ყოველ სამხედრო პროვოკაციას. საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობიანი მომავალი უზრუნველყოფილია, ამასთან უზრუნველყოფილია საიმედოდ.

ახლოვდება ფაშიზმზე საბჭოთა ხალხის გამარჯვების 35-ე წლისთავი. სასიამოვნოა გაცნობოთ, რომ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ვეტერანებისა და მათი ოჯახების მატერიალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“. ეს ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ პარტია და სახელმწიფო დღენიადაგ ზრუნავენ დიდი სამამულო ომის მონაწილეებისათვის.

სამოცდაათიან წლებში დავიწყეთ მთელი ჩვენი ეკონომიკის შემობრუნება ინტენსიური განვითარებისაკენ, ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისაკენ, იმისაკენ, რომ მთელი ყურადღება დაგვეთმო სამეურნეო საქმიანობის საბოლოო შედეგებისათვის. ოთხმოციან წლებში მოვალენი ვართ განვაგრძოთ და დავამთავროთ ეს უმნიშვნელოვანესი საქმე, რომელიც პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის ღერძია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე მწვავედ და კრიტიკულად იყო განხილული სახალხო მეურნეობის განვითარების შედეგები. ჯერ კიდევ ყველა დარგი, ყველა საწარმო როდი ასრულებს გეგმებს. ჯერ კიდევ არის სიძნელენი ზოგიერთი სასურსათო და სამრეწველო საქონლით, ბინებით, საყოფაცხოვრებო მომსახურებით უზრუნველყოფაში.

(დასასრული მე-2 გვ.)

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა

(დასასრული)

იმისათვის, რომ აღმოვფხვრათ ეს ნაკლოვანებანი, გავაუმჯობესოთ საქმის მდგომარეობა, პლენუმმა საჭიროდ ცნო კიდეც უფრო გულმოდგინედ, კიდეც უფრო ენერგიულად განვახორციელოთ პარტიის ეკონომიკური პოლიტიკა. ამის გზა ის არის, რომ ავამაღლოთ მართვის დონე ყველა რგოლში, გავაუმჯობესოთ სამეურნეო მექანიზმი, გავაძლიეროთ პასუხისმგებლობა, განვამტკიცოთ დისციპლინა ყველა სამუშაო ადგილას, მუშაობის ყველა უბანზე.

აქ ბევრი რამ არის დამოკიდებული ცენტრალურ უწყებათა მუშაობაზე, სწორედ ამიტომაც წაუყენა მათ პლენუმმა გადიდებული მოთხოვნები. მაგრამ არანაკლები მნიშვნელობა აქვს ადგილობრივ ინიციატივასაც. უზარმაზარი ქვეყნის მეურნეობის სხვადასხვა სფეროსა და ყველა რაიონისათვის ხომ ერთიანი რეცეპტი უბრალოდ არ არსებობს. ცხადია ერთი რამ: იქ, სადაც გულხელდაკრეფილი სხედან, ყოველ საკითხზე ზემოდან მითითებებს ელიან, — იქ წარმატებას ვერ ეღირსები. და, პირიქით, თუ ადამიანები გაბედულად ჰკიდებენ ხელს საქმეს, ასპარეზს აძლევენ ინიციატივას, მხარს უჭერენ საქმიან თაოსნობებს, — წარმატება უზრუნველყოფილია.

დიდი და მშვენიერია ჩვენი ქვეყანა, ამხანაგებო. გიგანტურ საქმეებს ვაკეთებთ. და დღეს, ოთხმოციანი წლების მიჯნაზე, როცა ჩაღდება მზადება პარტიის XXVI ყრილობისათვის, ყველა საფუძველი გვაქვს მშვიდად და რწმენით შევეყრებდეთ მომავალს. ჩვენი კურსი, ისევე როგორც წინათ, — ეს არის მშვიდობიანი აღმშენებლობის, ქვეყნის თვალუწვდენი სივრცეების შემდგომი გარდაქმნის, საბჭოთა ხალხის მატერიალური და სულიერი დოვლათის გამრავლების კურსი. და ვერავინ ვერ გადაგვახვევინებს ამ კურსიდან!

რა თქმა უნდა, პარტია ეკონომიკურ ამოცანებს ფართო სოციალური პოზიციებიდან უდგება, და ეკონომიკას უმჭიდროესად უკავშირებს საზოგადოებრივი ურთიერთობის მთელ სისტემას. როგორი იყო ამ ურთიერთობის განვითარების მთავარი ტენდენცია სამოცდაათიან წლებში? ვფიქრობ, რომ მთავარი იყო საბჭოთა საზოგადოების ერთიანობის, შეკავშირების შემდგომი განმტკიცება.

მხედველობაში მაქვს იდეურ-პოლიტიკური შეკავშირება. იგი გამოიხატება პარტიისა და ხალხის უმჭიდროესი ერთიანობით, კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის ურყეობით, ჩვენი პარტიის საარჩევნო პლატფორმის — იმ პლატფორმის საყოველთაო-სახალხო მოწონებით, რომელიც განსაზღვრულია პარტიული ყრილობებისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებებში.

შემდეგ, მხედველობაში მაქვს სოციალური შეკავშირება. იგი გამოიხატება იმით, რომ განუყრელია მუშათა კლასის, გლეხობისა და ინტელიგენციის კავშირი, საერთოა ყველა სოციალური ჯგუფისა და ფენის ძირეული ინტერესები, თანდათანობით იშლება არსებითი განსხვავებანი ქალაქსა და სოფელს შორის, გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის.

და ბოლოს, მხედველობაში მაქვს ჩვენი ქვეყნის ერთა და ეროვნებათა შეკავშირება. იგი იმით გამოიხატება, რომ მჭიდროდ არის ერთმანეთთან გადახლართული, შერწყმული საბჭოთა პატრიოტიზმი და ინტერნაციონალიზმი, შეიქმნა ერთიანი საერთო საკავშირო სახალხო-სამეურნეო კომპლექსი, კეთილნაყოფიერად ამდიდრებენ ერთმანეთს ეროვნული კულტურები.

განსაკუთრებით მინდა გამოვყო უდიდესი როლი, რომელსაც ასრულებდა და ასრულებს ამ პროცესებში რუსეთის ფედერაცია. მისი წვლილი ჩვენი საშობლოს ყველა ხალხის თანასწორუფლებიანი ურთიერთობის, საბჭოთა რესპუბლიკების ნებაყოფლობითი კავშირის შექმნაში, მართლაც რომ ფასდაუდებელია.

საზოგადოების შეკავშირება, ერთიანობა სოციალიზმის უნიკალური კუთვნილებაა, ჩვენი ფასდაუდებელი, უძლეველი ძალაა. რა თქმა უნდა, იმპერიალისტებს, ისევე როგორც ჩვენ, აქვთ რაკეტები. ისინი ჩვენსავით ბევრი ბუნებრივი სიმდიდრის პატრონი არიან. მათაც ჰყავთ ნიჭიერი მეცნიერები, ინჟინრები, კულტურის მოღვაწენი. მაგრამ მათ არა აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეთ ერთიანი საზოგადოება. დაე, ჩვენს მოძულეთ ახსოვდეთ ისტორიის გაკვეთილები. დაე, მათ იცოდნენ, რომ საბჭოთა ადამიანების ერთიანობა განსაკუთრებული ძალით სწორედ მაშინ ვლინდება, როცა ცდილობენ მუქარის ენით გველაპარაკონ.

საბჭოთა ხალხის შეკავშირება ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერების საიმედო საძირკველია. სამოცდაათიან წლებში საბჭოთა სახელმწიფოებრიობა, მისი ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური საფუძვლები კიდევ უფრო განმტკიცდა. ღრმავდება სოციალისტური დემოკრატია. მიღებულია ახალი კონსტიტუცია — განვითარებული, მომწიფებული სოციალიზმის კონსტიტუცია. სრული სვლით მიმდინარეობს კანონმდებლობის განახლება.

განვლილი ათწლეულის მანძილზე შესამჩნევად გაიზარდა საბჭოების აქტიურობა. კიდევ უფრო წარმოჩნდა ის უდიდესი შესაძლებლობანი, რომლებიც მათ აქვთ. ეს არის ინიციატივა მეურნეობისა და კულტურის, მოსახლეობის მომსახურების, ფართო მოთხოვნის საქონლის გამოშვების ბევრი საკითხის გადაწყვეტაში. ეს არის შეუნელებელი და მომთხოვნი კონტროლი მართვის ორგანოების, ყველა საწარმოს და ორგანიზაციის მუშაობისადმი. ეს არის ხალხის მასებთან საბჭოების კავშირურთიერთობის მუდმივი გაფართოება და გაღრმავება, ამომრჩეველთა განაწესების შესრულება. ვფიქრობ, რომ სწორედ ასეთი კალაპოტით წარიმართება რუსეთის ფედერაციის, ყველა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოების ახალი შემადგენლობის მუშაობა.

ამ არჩევნებში, როგორც მოგეხსენებათ, ყალიბდება აგრეთვე სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების მთელი სისტემა. პარტიას მიაჩნია, რომ მათი როლი განუხრელად უნდა იზრდებოდეს. საქმე უწინარეს ყოვლისა ეხება სამხარეო და საოლქო საბჭოებს. საჭიროა, რომ ისინი იყვნენ მთავარი ძალა თავიანთ ტერიტორიაზე კომპლექსურ ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში. მათი მატერიალური შესაძლებლობანი უფრო მჭიდროდ უნდა დავუკავშიროთ საწარმოთა მუშაობის შედეგებს. გაცილებით უნდა გამკაცრდეს საბჭოების კონტროლი გეგმების შესრულებისადმი, საბჭოთა კანონების განუხრელი დაცვისადმი. როგორც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ შემიძლია გაცნობოთ; რომ სახალხო დეპუტატთა სამხარეო, საოლქო და საოკრუგო საბჭოების ძირითად უფლებამოსილებათა განმტკიცებას კანონით ვაპირებთ. ასეთი კანონის პროექტს განსახილველად შევიტანთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უახლოეს სესიაზე.

სახალხო დეპუტატთა საბჭოები დღეს აერთიანებენ უდიდეს აქტივს, მილიონობით დეპუტატს, აპარატის მუშაკს. მათი პრინციპულობისა და მომთხოვნელობის, ადამიანებისათვის მათი ზრუნვის მიხედვით მსჯელობს მშრომელი კაცი იმაზე, თუ რა არის საბჭოთა ხელისუფლება. საბჭოების ძალა მარტო მათი მასობრიობა როდია. იგი უწინარეს ყოვლისა განისაზღვრება იმით, თუ როგორ მუშაობს თითოეული, ხაზს ვუსვამ, თითოეული დეპუტატი, თითოეული თანამდებობის პირი.

„თანამდებობა“ და „თანამდები“ ერთი ძირის სიტყვებია. ხალხის წინაშე მოვალეობა — პარტიული, სამსახურებრივი, ადამიანური — ყოველთვის უნდა გვახსოვდეს. ნამდვილი პარტიული და საბჭოთა მუშაკი არ არის და ვერც იქნება, თუ განუხრელად არ ასრულებს ამ მოვალეობას, თუ არ შეუძლია მტკიცედ დაიკავშიროს ერთმანეთთან სიტყვა და საქმე. დიდი შრომისმოყვარეობა და დისციპლინა, მომთხოვნელობა საკუთარი თავისადმი და უანგარო პატიოსნება — აი, მისი კარგი რეპუტაციის საფუძველი. და ამ რეპუტაციას უნდა ვადასტურებდეთ მთელი სიცოცხლის მანძილზე და მთელი ცხოვრებით.

მუშაკის ავტორიტეტი, რა პოსტიც უნდა ეკავოს მას, გარედან როდი მოდის. იგი უნდა მოვიპოვოთ პირადი მეცადინეობით, ყოველდღიური შრომით, რეალური საქმეებით. მხოლოდ ასე მოვიპოვებთ ხალხის პატივისცემას. ამაზე უმაღლესი კი საბჭოთა დეპუტატისათვის, სახელმწიფო მოღვაწისათვის არა არის რა და არც შეიძლება იყოს.

ამხანაგებო! ნება მიბოძეთ, ახლა შევეხო საგარეო პოლიტიკისა და თანამედროვე საერთაშორისო ვითარების ზოგიერთ საკითხს.

უწინარეს ყოვლისა ხაზი უნდა გაესვას, რომ გასული ათწლეული აღინიშნა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების თანამშრომლობის შემდგომი განვითარებითა და გამდიდრებით. ეს თანამშრომლობა თითოეული მოძმე ქვეყნის განვითარების მძლავრი ამჩქარებელია. ამ რთულ და მოუსვენარ დროში იგი აგრეთვე ჩვენი გულდაჯერებული წინსვლის საერთო გარანტიაა.

მოძმე ქვეყნების ერთიანობის ძალა, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის ძალა განსაკუთრებით დამაჯერებლად გამოვლინდა მძლავრი მხარდაჭერით, რომელიც ვიეტნამელ ხალხს გაუწიეს ამერიკელ, შემდეგ კი ჩინელ აგრესორთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ასე იქნება კვლავაც, თუ ვინმე ისეც მოიწადინებს ხელყოს ამ გმირი ქვეყნის მშვიდობა და უშიშროება. ჩვენ აგრეთვე ვსოლიდარობთ და მხარს ვუჭერთ ლაოსელ და კამპუჩიელ ხალხებს, რომლებმაც ხანგრძლივი ბრძოლით მოიპოვეს ახალი ცხოვრების უფლება.

საერთაშორისო ცხოვრების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი გახდა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების სამშვიდობო პოლიტიკა, მათი ერთობლივი ბრძოლა დაძაბულობისა და მსოფლიო რაკეტულ-ბირთვული ომის საფრთხის შენელებისათვის. ეს ბრძოლა ახლა კაცობრიობის მშვიდობიანი მომავლის მთავარი საწინდარია.

მშვიდობის განმტკიცებისა და გამალებული შეიარაღების ალაგმვის დარგში ფაქტობრივად ყველა უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება, რომლებიც უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე საერთაშორისო ფორუმებზეა მიღებული, აგრეთვე უმნიშვნელოვანესი მოლაპარაკება ამ საკითხებზე სოციალიზმის ქვეყნების ინიციატივის შედეგია. განიარაღებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხებზე მათი კონკრეტული წინადადებანი ჩვენს ეპოქაში მშვიდობის უზრუნველყოფის ფართო შორსმჭვრეტელური და რეალისტური პროგრამაა. მისი განხორციელებისათვის ჩვენ ვიბრძოლებთ, ვიბრძოლებთ მტკიცედ და დაუცხრომლად.

ახლა, როცა იმპერიალიზმის ძალებმა კონტრიერიში მიიტანეს დაძაბულობის შენელებაზე, მშვიდობაზე, ხალხთა უფლებებზე, სოციალისტური ქვეყნების მოქმედების ერთიანობას ამ უმნიშვნელოვანეს ღირებულებათა დაცვაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ამ ისტორიულ ამოცანასაც ჩვენი ქვეყნები, დარწმუნებული ვარ, ღირსეულად შეასრულებენ!

ჩვენი საგარეო პოლიტიკის ძალა ის არის, რომ იგი შეესაბამება როგორც სოციალისტური ქვეყნების, ისე საერთოდ მსოფლიოს მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობის ინტერესებს. და უწინარეს ყოვლისა იმ ხალხთა ინტერესებს, რომლებიც განთავისუფლდნენ კოლონიური ჩაგვრისაგან და ეწევიან ახალი, დამოუკიდებელი ცხოვრების მშენებლობის ძნელ საქმეს. მათ სოციალისტურ ქვეყნებზე ნაკლებად როდი სჭირდებათ მტკიცე მშვიდობა, სახელმწიფოების სუვერენიტეტისა და ხალხების უფლებათა უთუო პატივისცემა, ნამდვილად თანასწორუფლებიანი საერთაშორისო ურთიერთობა.

სწორედ ამ საფუძველზე ვითარდება ჩვენი კეთილი ურთიერთობა და ხელსაყრელი თანამშრომლობა აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის მრავალ ათეულ სახელმწიფოსთან, დიდი ინდოეთი იქნება ეს თუ პატარა ბენინი, რესპუბლიკური ალჟირი თუ მონარქისტული იორდანია, მეზობელი თურქეთი თუ ჩვენგან დაშორებული ბრაზილია.

ჩვენ ვაფასებთ ურთიერთობას ყველა ამ სახელმწიფოსთან, პატივს ვცემთ მათს უფლებებს, არ ვეხებარებია მათი სიმდიდრე, არ ვეძებთ იქ სამხედრო ბაზებს. ჩვენ ვაფასებთ, რომ ახლოა ჩვენი პოზიციები ბევრ საერთაშორისო საკითხში, მაგრამ არ ვცდილობთ ვუკარნახოთ მათ, რა პოლიტიკა განახორციელონ.

სსრ კავშირმა შესამჩნევი წვლილი შეიტანა ზოგიერთი ქვეყნის ეკონომიკის, კულტურული მშენებლობისა და თავდაცვის განმტკიცებაში — და ჩვენ ამით ვამაყობთ. ლენინის ანდერძის ერთგულნი, მუდამ მხარს ვუჭერთ ხალხებს, რომლებიც თავიანთ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას იცავენ. მაგრამ არასოდეს არ ვიყენებთ ჩვენს დახმარებას იმათზე ზეგავლენისათვის, ვისაც იგი გავუწიეთ.

ყოველივე ეს ქმნის ჩვენს ურთიერთობაში ერთმანეთის პატივისცემისა და ხდომის ატმოსფეროს — ერთიმეორის სასარგებლოდ და საყოველთაო მშვიდობის საკეთილდღეოდ.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, რომ წარმატებით ვითარდება კეთილი ურთიერთობა ინდოეთთან. ეს ურთიერთობა კარგად შეესაბამება ორივე ქვეყნის ხალხთა ინტერესებს, აზიისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმეს. ჩვენი მეგობრობის სიმბოლო გახდა ახლახან მიღწეული შეთანხმება უახლოეს მომავალში საბჭოთა და ინდოელი კოსმონავტების კოსმოსში ერთობლივი ფრენის შესახებ.

ქალბატონ ინდირა განდის მთავრობამ მიიღო ჩვენი ეს წინადადება, რაც დიდად გვახარებს.

მაგრამ იმპერიალიზმის ომის მოტრფიალე წრეებს — და უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმს — გულზე არ ეხატებათ მშვიდობის განმტკიცება და ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლის წარმატებანი. აბა, შეხედეთ, რით უპასუხეს მათ ბევრ კაპიტალისტურ ქვეყანასთან სოციალისტური ქვეყნების ურთიერთხელსაყრელი კონტაქტების განვითარებას, ჰელსინკის სრულიად ევროპის თათბირის წარმატებას, ინტერვენტებსა და იმპერიალიზმის დაქირავებულებზე ანგოლისა და ეთიოპიის რევოლუციური ხალხთა გამარჯვებას. თავისებურად უპასუხეს: დაიწყეს სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულების შესახებ მოლაპარაკების, შემდეგ კი ამ ხელშეკრულების რატიფიკაციის გაჭიანურება. წაახალისეს საადათის გამცემლობა, რომელმაც გათიშა აგრესორის წინააღმდეგ მიმართული არაბთა ერთიანობის ფრონტი. ნატოს ქვეყნებს თავს მოახვიეს გაძლიერებული შეიარაღების მრავალი წლის პროგრამა. გაყინეს, მთელ რიგ შემთხვევებში კი ჩაშალეს კიდეც განიარაღების პრობლემებისადმი მიძღვნილი მოლაპარაკება. და, ბოლოს მიიღეს პროვოკაციული გადაწყვეტილება დასავლეთ ევროპაში განალაგონ სსრ კავშირისა და მისი მოკავშირეებისათვის დამიზნებული ახალი ამერიკული რაკეტები.

ცხადი გახდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელი ხელმძღვანელობა ადგას დაძაბულობის შენელების ძირის გამოთხრისა და საერთაშორისო ვითარების გამწვავების ხაზს. იგი ცდილობს თავისი ნება უკარნახოს სოციალისტურ სახელმწიფოებსა და სხვა ქვეყნებს.

იყო თუ არა ეს მოულოდნელი? რა თქმა უნდა, არა. თავიდანვე ცხადი იყო, რომ მშვიდობისა და დაძაბულობის შენელების საიმედო უზრუნველყოფა შეიძლებოდა მხოლოდ შეუპოვარი პოლიტიკური ბრძოლით. დაძაბულობის შენელება შეესაბამება ხალხთა ინტერესებს. მისი საჭიროება ესმით პასუხისმგებელ, რეალისტურად მოაზროვნე პოლიტიკოსებს. მაგრამ მის წინააღმდეგ ილაშქრებენ დიდი ძალები, რომლებიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ კაპიტალისტურ ქვეყნებში მუშაობენ ომის მოსამზადებელად: მხედრიონი, მასთან დაკავშირებული მონოპოლიები, მათი დამქაშები სახელმწიფო აპარატსა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში.

და რაც უფრო მცირდება სხვა ქვეყნებსა და ხალხებზე იმპერიალიზმის ბატონობის შესაძლებლობანი, მით უფრო გააფთრებით რეაგირებენ ამაზე მისი ყველაზე აგრესიული და არაშორსმჭვრეტელი წარმომადგენლები. ამ აგრესიულობის შეკავება შეუძლიათ მხოლოდ ძალასა და მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა გონივრულ პოლიტიკას და ხალხთა მტკიცე გადაწყვეტილებას — ჩაფუშონ მსოფლიო ბატონობის პრეტენდენტთა საშიში გეგმები.

მას შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თავისი „რაკეტული“ გეგმები თავს მოახვია დასავლეთ ევროპას, მან თვალი დაადგა აზიასა და ახლო აღმოსავლეთს, თავი მოუყარა თავისი ფლოტის დიდ ძალებს რევოლუციური ირანის ნაპირებთან, ვითომდა დატყვევებულ დიპლომატთა ჯგუფის გამოსახსნელად. შემდეგ კი ჩაებღაუჭა, მისი აზრით, მოხერხებულ საბაბს — ავღანეთის ამბებს. ამერიკაში ამასთან დაკავშირებით ატეხილი ღვარძღვიანი ანტისაბჭოური აურზაური, უნდა ითქვას, აღემატება ყველა წინანდელ რეკორდს.

რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ საბაბია. ბატონ კარტერსა და მის თანამდგომთ კარგად მოეხსენებათ, რომ რუსეთის არავითარი „ინტერვენცია“ ავღანეთში არ ყოფილა და არ არის. სსრ კავშირი მოქმედებდა საბჭოთა კავშირ-ავღანეთის მეგობრობის ხელშეკრულების საფუძველზე. ჩვენ დაბეჯითებით გვთხოვდა ავღანეთის სამი ერთმანეთის შემცვლელი მთავრობა დაგვეცვა ქვეყანა გარედან კონტრრევოლუციის ძალების შეჭრისაგან.

ვაშინგტონს კარგად მოეხსენება აგრეთვე ყველაფერი პაკისტანის ტერიტორიიდან ავღანეთის წინააღმდეგ ინტერვენციის შესახებ. ამერიკელები ხომ ჩინელებთან და სხვებთან ერთად თავად წარმართავენ ამ ინტერვენციას, რომელმაც სერიოზული საფრთხე შეუქმნა ავღანეთს რევოლუციას და საერთოდ ჩვენი სამხრეთის საზღვრის უშიშროებასაც.

თეთრ სახლს ისიც მოეხსენება, რომ სსრ კავშირი თავის ჯარის კონტინგენტებს მაშინვე გაიყვანს, როგორც კი მოისპობა მათი ყოფნის გამომწვევი მიზეზები, და ავღანეთის მთავრობა მიიჩნევს, რომ ეს ყოფნა აღარ არის საჭირო. ამერიკის შეერთებული შტატები საქვეყნოდ მოითხოვს საბჭოთა ჯარების გაყვანას, არადა, ფაქტობრივად თვითონ ყოველ ღონეს ხმარობს, რათა დაგვიბრკოლოს ამის შესაძლებლობა: განაგრძობს და სულ უფრო აძლიერებს ავღანეთის საქმეებში ჩარევას.

მინდა გარკვევით განვაცხადო: ჩვენ მზად ვიქნებით ჩვენი ჯარების გამოსაყვანად, როგორც კი მთლიანად შეწყდება ავღანეთის მთავრობისა და ხალხის წინააღმდეგ მიმართული ყოველგვარი ჩარევა გარედან. დაე, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ავღანეთის მეზობლებთან ერთად უზრუნველყოს ეს — და მაშინ საჭირო აღარ იქნება საბჭოთა სამხედრო დახმარება. თავის მხრივ, ავღანეთის მთავრობამ, როგორც ცნობილია, მკაფიოდ განაცხადა, რომ განზრახული აქვს მშვიდობიანი და მეგობრული ურთიერთობა იქონიოს თავის მეზობლებთან, კერძოდ, ირანთან და პაკისტანთან. ჩვენ, რა თქმა უნდა, მივესალმებით ავღანეთის ასეთ პოზიციას.

ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელებმა ისიც იციან, რომ ავღანეთის მთავრობა სრული პატივისცემით ეკიდება ჰელსინკის რეგლამენტს, ფართო ეროვნულ-სამართლებრივ სარწმუნოებებს, გაათავისუფლა ამინის შიერ საპყრობილეში შეყრილი მოღვაწეები — და, რეციპროკურად, გამოაცხადა, რომ ისლამს ენინი იტყვი. მართლაც რომ, უხეიროდ გამოიყურება ისრაელი აგრესორის მფარველთა და ირანის წინააღმდეგ მიმართული რეპრესიების ორგანიზატორთა ცდები — „ისლამის ქომაგებად“ გაასაღონ თავი.

მაშ რატომ არის, რომ ვაშინგტონი საქვეყნოდ მართავს ისტერიკას? რა მიზნით ავრცელებენ სიცრუეს „ავღანელი ხალხის წინააღმდეგ რუსთა ომის“, „პაკისტანისა და ირანისადმი საბჭოთა მუქარის“ შესახებ და სხვა მსგავს მონაჭორებს?

პასუხი ნათელია: ვაშინგტონს უბრალოდ საბაბი სჭირდება აზიაში თავისი ექსპანსიის გასაფართოებლად, და იგი მას ყოველნაირად იქმნის.

ანტისაბჭოური ისტერია მარტო იმისათვის როდი დასჭირდათ, რომ ამ შემოდგომაზე მავანმა და მავანმა გაიმარჯვოს პრეზიდენტის არჩევნებში. მთავარი ის არის, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს მოუწადინებია შექმნას თავისი სამხედრო ბაზების ქსელი ინდოეთის ოკეანეში, შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, აფრიკის ქვეყნებში. ამერიკის შეერთებულ შტატებს სურს თავის ჰეგემონიას დაუმორჩილოს ეს ქვეყნები და დაუბრკოლებლად წაელიტოს მათ ბუნებრივი სიმდიდრენი. თანაც, გამოიყენოს მათი ტერიტორიები სოციალიზმის სამყაროსა და სახალხო-განმათავისუფლებელი ძალების წინააღმდეგ თავისი სტრატეგიული საწადელის მისაღწევად. აი, რა არის თავიდათავი.

არადა, ხომ შეიძლება თანამედროვე კოლონიზატორებს ხელი მოეცაროთ. ახლა არც ომამდელი დროა და არც 50-იანი წლები. ათობით ყოფილმა დამოკიდებულმა ქვეყანამ უკვე შეიძინა თავისთავადი ცხოვრებისა და პოლიტიკის გამოცდილება. ახლა ხალხები უკეთ ერკვევიან იმპერიალისტთა ხრიკებში და კარგად იციან, თუ ვინ არის მათი მტერი და ვინ — მოყვარე. თანაც მსოფლიოს ისეთ რაიონებში, როგორიც არის, ვთქვათ, დასავლეთი ევროპა ან იაპონია, ხალხი დარწმუნდა უშფოთველი, მშვიდობიანი ცხოვრებისა და ხელსაყრელი ვაჭრობის უპირატესობებში. და მათ იოლად ვერ ააღებინებენ ხელს დაძაბულობის შენელებაზე ამერიკის მსოფლიო ბატონობის გეგმების გულისთვის. ჩვენი მხრივ, კვლავინდებურად ვუჭერთ მხარს იმას, რომ ყველა მიმართულებით განვავითაროთ მშვიდობიანი თანამშრომლობა ამ ქვეყნებთან, ისევე როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებთან.

ვაშინგტონში წამდაუწუმ გაიძახიან, ამერიკის შეერთებულ შტატებში ნავთობის შემოტანის გზები უხიფათო უნდა იყოსო. კი ბატონო, გასაგებია, მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად განა კომუნიკაციების რაიონი დენთის საწყობად უნდა გადააქციონ? ამით ხომ საპირისპირო შედეგს მიაღწევენ.

„ძალის პოზიციიდან პოლიტიკის“ ახალ ქადაგთა ავანტიურისტული „დოქტრინები“ მარტოოდენ ცალკეული ქვეყნის ან ქვეყნების ჯგუფებისათვის როდია საშიში. ისინი საფრთხეს უქადის ყველა სახელმწიფოსა და ხალხის მშვიდობას და უშიშროებას. და ამ ავბედითს ზრახვებს საკადრისი პასუხი უნდა გასცეს ყველამ, ვისაც სჭირდება, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა.

საბჭოთა კავშირს ვერავინ დაიბრიყვებს. ჩვენი ძალები და შესაძლებლობანი უსაზღვროა. ჩვენ და ჩვენი მოკავშირეები თავს არავის დავუჩაგვრინებთ და ვერ ავიტანთ. ომის ისტერიისა და გააფთრებულ-გამალებულ შეიარაღების „დოქტრინას“ ჩვენ ვუპირისპირებთ ქვეყნად მშვიდობისა და უშიშროების დამკვიდრებისათვის თანამდევრული ბრძოლის დოქტრინას. ჩვენ ერთგულნი ვართ მშვიდობის პროგრამისა, რომელიც ჩვენი პარტიის XXIV და XXV ყრილობებმა წამოაყენეს, ამიტომ ახლა, 80-იან წლებში, ისევე როგორც წინათ, 70-იანში, ჩვენ ვიღვწით დაძაბულობის შენელების განმტკიცებისათვის, და არა ჩაშლისათვის, შეიარაღების შემცირებისათვის, და არა გაძლიერებისათვის, ხალხთა დაახლოებისა და ურთიერთგაგებისათვის, და არა მათი ხელოვნური განკერძოებისა და შუღლის ჩამოგდებისათვის.

ჩვენ მტკიცედ ვატარებთ მაღლა ჩვენი ლენინური საგარეო პოლიტიკის დროშას — ხალხთა მშვიდობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დროშას, სოციალური პროგრესის დროშას.

დასასრულ, ძვირფასო მეგობრებო, ნება მიბოძეთ, გულითადი მადლობა მოვახსენო შრომითს კოლექტივებს, ყველა მშრომელს, ვინც დაასახელა და მხარი დაუჭირა ჩემს კანდიდატურას რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. მადლობა მომიხსენებია ერთი ლიტყვებისათვის, რომლებიც დღეს ამ ტრიბუნიდან გაისმა. ვფიქრობ, რომ კომუნისტთა და უპარტიოთა ნდობა ნიშნავს, რომ ისინი იწონებენ ჩვენი სახელოვანი ლენინური პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, მაღალ შეფასებას აძლევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის და მისი პოლიტბიუროს კოლექტიურ მოღვაწეობას.

მინდა აღგითქვათ, ამხანაგებო, რომ კვლავინდებურად ვეცდები გავამართლო თქვენი დიდი ნდობა. ადამიანის მშვიდობიანი ცხოვრება, მისი შემოქმედებითი შრომა, მისი კეთილდღეობა და სულიერი ზრდა — აი, რით სულდგმულობენ და რისთვის იბრძვიან კომუნისტები. აი, რას მივცემთ ხმას ჩვენ, საბჭოთა ადამიანები.

(ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა უდიდესი ყურადღებით მოისმინეს, დარბაზში ხშირად გაისმოდა ხანგრძლივი ტაში).

საბოლოო სიტყვაში კრების თავმჯდომარემ ს. ა. კუპრეევმა მადლობა გადაუხადა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს დედაქალაქის ბაუმანის რაიონის მშრომელებზე, მოსკოველებზე ნათქვამი გულთბილი, კეთილი სიტყვებისათვის.

თქვენს სიტყვაში მოცემული მითითებები, თქვა მან, ბაუმანის რაიონის, მთელი მოსკოვის პარტიული ორგანიზაციის, შრომითი კოლექტივების საქმიანობის პროგრამა გახდება მეათე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის, ჩვენი სამშობლოს ეკონომიკისა და კულტურის ახალი აღმავლობისათვის ბრძოლაში.

რაიონის მშრომელები, იხევე როგორც ყველა მოსკოველი, ძალ-ღონეს არ დაიშურებენ, რათა ქვეყნისა და რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოებში თავიანთი დეპუტატის ღირსნი იყვნენ.

ნება მიბოძეთ, ძვირფასო ლენინდ ილიას ძევ, ერთხელ კიდევ გისურვოთ ჯანმრთელობა და დდეგრძელობა, ბედნიერება და ახალი წარმატებანი თქვენს კეთილშობილურ მოღვაწეობაში საბჭოთა ხალხის, მშვიდობის, კომუნიზმის საკეთილდღეოდ.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევთან ამოერჩეველთა შეხვედრამ კვლავ დამაჯერებლად დაადასტურა კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის ურყევი ერთიანობა. ამ ცხადყო, რომ საბჭოთა ხალხი მხურვალედ უჭერს მხარს ჩვენ კომუნისტური პარტიის მრწამულ ლენინურ პოლიტიკას.

(საკდესი).

კოსმოსური ჯილდოების ლაურეატები

ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მელიორატორები — 1979 წლის სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულები მოსკოვის გარეუბანში — ვარსკვლავეთა ქალაქში შეხვდნენ საბჭოთა კოსმონავტებს. ტრადიციისამებრ სტუმრებმა ყვავილებით შეამკეს ჩვენი პლანეტის პირველი კოსმონავტის ძეგლი. მელიორატორებს გულითადად მიესალმნენ კოსმოსის გმირები.

კოლტურის სახლში შეკრებილთა წინაშე გამოვიდა სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე პ. ა. ფოლად-ზადე. მან გულთბილად მიულოცა შეჯიბრების მოწინავეებს, რომლებმაც „კოსმოსური ჯილდოები“ — იური გაგარინის სახელობის ვიმპელები დაიმსახურეს.

— თქვენ, — თქვა მან, — იღებთ კოსმოსის პირველმკალავის იური გაგარინის სახელობის „ვარსკვლავეთა ვიმპელს“. ეს საპატიო ჯილდო ენიჭება 120 საუკეთესო კოლექტივს, რომლებმაც მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს მუშაობაში.

სწორედ აქ, ვარსკვლავეთა ქალაქში, — თქვა შემდეგ პ. ა. ფოლად-ზადემ, — სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთათვის „ვარსკვლავეთა ვიმპელების გადაცემის ვალდებულების მიღება მოგვაჩნია მელიორატორებისადმი კოსმონავტთა დიდი პატივისცემის გამოხატულად. უეჭველია, რომ ეს ჯილდო წარმოების მოწინავეებს დამატებით სტიმულს მისცემს მიმდინარე. ხუთწლედის დამამთავრებელ წელს ახალი შრომითი გამარჯვებების მოსაპოვებლად.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლექტივის, სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის, ჩვენი ქვეყნის ყველა მელიორატორის სახელით მინისტრის პირველმა მოადგილემ გულითადი მადლობა გადაუხადა სსრ კავშირის კოსმონავტ მფრინავთა რაზმს, კოსმონავტთა მომზადების ცენტრის ხელმძღვანელობას ი. ა. გაგარინის სახელობის „ვარსკვლავეთა ვიმპელის“ დაწესებისათვის. მელიორატორთა საქმეებზე დამამთავრებელ წელს ახალი შრომითი გამარჯვებების მოსაპოვებლად.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლექტივის, სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის, ჩვენი ქვეყნის ყველა მელიორატორის სახელით მინისტრის პირველმა მოადგილემ გულითადი მადლობა გადაუხადა სსრ კავშირის კოსმონავტ მფრინავთა რაზმს, კოსმონავტთა მომზადების ცენტრის ხელმძღვანელობას ი. ა. გაგარინის სახელობის „ვარსკვლავეთა ვიმპელის“ დაწესებისათვის. მელიორატორთა საქმეებზე დამამთავრებელ წელს ახალი შრომითი გამარჯვებების მოსაპოვებლად.

სსრ კავშირის კოსმონავტმა მფრინავებმა მოწინავეებს მიულოცეს ჯილდოები და გადასცეს ვარსკვლავეთ

სსრ კავშირის თავდაცვის
მინისტრის
ბრძანება
№ 50
1980 წლის 23 თებერვალი,
ქ. მოსკოვი

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგებო!

ამხანაგო პრაპორშჩიკებო და მიჩმანებო!

ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

ამხანაგო სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ვეტერანებო!

დღეს საბჭოთა ხალხი, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მეომრები დღესასწაულობენ საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 62-ე წლისთავს.

ეს დღესასწაული აღინიშნება საბჭოთა ხალხის მაღალი პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის ვითარებაში, რომელიც გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებმა, ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისა და დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 35-ე წლისთავისათვის მზადებამ. საბჭოთა ადამიანები მხურვალედ იწონებენ პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და მისი მეთაურის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის საქმიანობას. სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მეომრები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, ეგებებიან რა სახალხო დეპუტატთა საბჭოების არჩევნებს, ახალი ძალით ცხადყოფენ პარტიისა და ხალხის ურღვევ ერთიანობას, კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის სიმტკიცეს.

ქვეყანაში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლებისათვის, მეათე ხუთწლედის წარმატებით დამთავრებისათვის. მუშათა კლასს, კოლმეურნე გლეხობას, სახალხო ინტელიგენციას მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი განახორციელონ პარტიის მიერ დასახული ეკონომიკის შემდგომი აღმავლობის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების დიდებული გეგმები.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო განუხრელად და თანამიმდევრულად ახორციელებენ მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, დღენიადაგ იბრძვიან მშვიდობის — კომუნიზმის მშენებლობის ამ აუცილებელი პირობის განმტკიცებისათვის.

უკანასკნელ ხანს პოლიტიკური ვითარება მსოფლიოში შესამჩნევად გართულდა. ამერიკის შეერთებული შტატებისა და ზოგიერთი სხვა სახელმწიფოს ხელმძღვანელი წრეები სულ უფრო აშკარად ადგებიან საშიში ავანტიურების გზას, აიღეს დაძაბულობის შენელების ძირის გამოთხრის, „ცივი ომის“ ატმოსფეროს აღორძინების კურსი, გამალებული შეიარაღების გაძლიერების კურსი, რომელსაც მოსდევს ომის საშიშროების ზრდა. ამის დადასტურებაა ამერიკის შეერთებული შტატების ზეგავლენით ნატოს საბჭოს მიერ მიღებული ბლოკის საომარ ღონისძიებათა შემდგომი ზრდის პროგრამა, გადაწყვეტილება დასავლეთ ევროპის ზოგიერთი ქვეყნის ტერიტორიაზე ახალი ამერიკული ბირთვული რაკეტების განლაგების შესახებ.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თავის დამქაშებთან ერთად იმპერიალისტური აგრესია მოიწყო ავღანელი ხალხის წინააღმდეგ და გაამწვავა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობა. პირფერულად ინიღბება რა ავღანეთის ამბებში ჩვენი ქვეყნის როლის შესახებ ცილისმწამებლური მონაჭორებით, იგი უხეშად ერევა სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში, ცდილობს მიითვისოს „უფლება“, რომ თავისი წესები უკარნახოს მსოფლიოს ყოველ რაიონს.

ამ პირობებში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, რომელიც თანამიმდევრულად ადგას მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას და ამავე დროს გასაქანს არ აძლევს იმპერიალისტურ რეაქციასა და პეკინელ ჰეგემონისტებს, რომლებიც ცდილობენ ძირი გამოუთხარონ მშვიდობას, ზრუნავს საბჭოთა ადამიანების სიფხიზლის გაძლიერებისათვის, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისა და არმიისა და ფლოტის საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის.

ვ. ი. ლენინის მიერ შექმნილი და კომუნისტური პარტიის აღზრდილი, მტრებთან ბრძოლებში გამოწრთობილი საბჭოთა შეიარაღებული ძალები პირნათლად ასრულებენ სოციალისტური სამშობლოს უშიშროების უზრუნველყოფის დაკისრებულ პასუხსგებ ამოცანებს.

საბჭოთა არმიასა და სამხედრო-საზღვაო ფლოტში ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებას, რომ 1980 წელი გადაიქცეს დამკვრელური ლენინური მუშაობის წლად. მომდინარეობს დაძაბული საბრძოლო სწავლება, ფართოვდება სოციალისტური შეჯიბრება დევიზით — წმინდად შეასრულოთ ლენინის ანდერძი, სრულვყოთ საბრძოლო და პოლიტიკური მომზადება, ავამაღლოთ სიფხიზლე, მუდამ მზად ვიყოთ სამშობლოს, სოციალიზმის დიადი მონაპოვრების დასაცავად. საბჭოთა შეიარაღებული ძალები თავიანთ პატრიოტულ და ინტერნაციონალურ მოვალეობას იხდიან ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა არმიებთან ერთიან საბრძოლო მწყობრში.

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი,

ამხანაგო არმიისა და ფლოტის მეომრებო!

ამხანაგო სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ვეტერანებო!

— საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 62-ე წლისთავს. ვუსურვებ პირად შემადგენლობას ახალ მიღწევებს მეცადინეობის სრულყოფაში, დისციპლინისა და ორგანიზებულობის განმტკიცებაში, ნაწილებისა და წოდებების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებაში.

საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 62-ე წლისთავის აღსანიშნავად **ვბრძანებ:**

1980 წლის 23 თებერვალს 21 საათზე ადგილობრივი დროით მოეწყოს ფიიერვერკი ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში — გმირ ქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში, გმირ ქალაქებში ლენინგრადში, ვოლგოგრადში, სევასტოპოლში, ოდესაში, ნოვოროსიისკში, ქერჩში, ტულაში, გმირ ციხესიმაგრე ბრესტში.

გაუმარჯოს საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 62-ე წლისთავს!

გაუმარჯოს გმირ საბჭოთა ხალხსა და მის შეიარაღებულ ძალებს!

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ჩვენი გამარჯვებების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

საბჭოთა კავშირის მარშალი დ. უსტინოვი.

ეს ფოტოსურათი გუშინ არის გადაღებული ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალში. პარტიისა და კომკავშირის ვეტერანები, ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასის წარმომადგენელთა ერთი ჯგუფი დიდი ინტერესით უსმენდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლას მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებთან შეხვედრის დროს.

ჯ. ლომაძის ფოტო.

უდიდესი ყურადღება

ასობით მილიონი ადამიანი 22 თებერვალს უდიდესი ყურადღებით უსმენდა და უყურებდა ტელევიზიით მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა საარჩევნო კრების პირდაპირ გადაცემას, რომელიც მიეძღვნა რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარესთან ლ. ი. ბრეჟნევთან შეხვედრას.

ცენტრალური ტელევიზია, საბჭოთა კავშირის ყველა რადიოსადგური ტრანსლაციას აწარმოებდა კრემლის ყრილობათა სასახლიდან. გადაცემა მიმდინარეობდა აგრეთვე „ორბიტის“ და „ვოსტოკის“ პროგრამებით.

„ინტერვიზიის“ სისტემის მეშვეობით გადაცემა ამომრჩეველთა კრების შესახებ ნახეს მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში. სატელევიზიო ინფორმაცია ლ. ი. ბრეჟნევთან საარჩევნო შეხვედრის შესახებ „ევროვიზიის“ სისტემით მიიღეს აგრეთვე დასავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანაში. (საკდესი).

მოწოდება გვაკვალებს

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, საბჭოთა სახელმწიფოს ნაცადი ხელმძღვანელის და ერთგული ლენინელის ლ. ბრეჟნევის ყოველი მოხსენება, ყოველი გამოსვლა პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ძლიერების განმტკიცებისათვის ბრძოლის ბრძნულად გააზრებული, დასაბუთებული სამოქმედო პროგრამაა.

ამის კიდევ ერთი მკაფიო დადასტურებაა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ღრმაშინაარსიანი სიტყვა, რომელიც მან გუშინ ქ. მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა საარჩევნოსწინა კრებაზე წარმოთქვა.

ვინც მოისმინა ტელევიზიით ეს გამოსვლა, არ შეიძლება სიამაყის გრძნობა არ დაუფლებოდა ჩვენი ხვალინდელი დღისათვის პარტიისა და მთავრობის შეუნელებელი ზრუნვის გამო, ამასთან არ დაენახა თავისი როლი და ადგილი ქვეყნის სახალხო მეურნეობის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით ხორცშესხმისათვის ბრძოლაში.

პარტიის სიტყვა, პარტიის მოწოდება ბევრ რამეს გვაკვალებს ჩვენც, მეცნიერებისა და ტექნიკის მუშაკებს — კიდევ უფრო განვამტკიცოთ მეცნიერების კავშირურთიერთობა წარმოებასთან, ხელი შეუწყოთ ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, მეცნიერული მიღწევების პრაქტიკაში დანერგვით ავამაღლოთ წარმოების ეფექტიანობა, ვამრავლოთ სახალხო დოვლათი.

დარწმუნებული ვარ, რესპუბლიკის მეცნიერ მუშაკთა მრავალრიცხოვანი არმია ენერგიის ახალი მოზღვავებით, მეცნიერული ძიების შემდგომი გაღრმავებით უპასუხებს პარტიის მოწოდებას — მაღალი ორგანიზებულობით, მტკიცე დისციპლინით, კომუნისტური შრომით თითოეულმა ღირსეული ღვაწლი დავდოთ ჩვენი ქვეყნის შემდგომ წინსვლას, მის ეკონომიკურ ძლიერებას.

თ. ნაცვლიშვილი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

ამხ. დ. ა. ალექსიძის ხალხთა მეგობრობის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში გაწეული წლისთავისთვის და დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის რექტორის კათედრის გამგე სსრ კავშირის ხალხო არტისტი დიმიტრი ალექსანდრეს ძე ალექსიძე დაჯილდოდეს ხალხთა მეგობრობის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1980 წლის 22 თებერვალი.

საკდესის ცნობა

მიფრინავენ: „რადუგა“

დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების გამოყენებით კავშირისა და ტელემაუწყებლობის სისტემათა შემდგომი განვითარების პროგრამის შესაბამისად 1980 წლის 20 თებერვალს საბჭოთა კავშირში გაუშვეს საბორტო სარეტრანსლაციო აპარატურით აღჭურვილი კავშირის მორიგი თანამგზავრი „რადუგა“, რომლის აპარატურამ ტალღების სანტიმეტრიანი დიაპაზონით უნდა უზრუნველყოს განუწყვეტელი სადღეღამისო სატელეფონო-სატელეგრაფო რადიოკავშირი და ცენტრალური ტელევიზიის ფერადი და შავ-თეთრი პროგრამების ერთდროული გადაცემა „ორბიტის“ სადგურების ქსელში.

თანამგზავრი „რადუგა“ გაყვანილია სტაციონარულის ახლო ორბიტაზე, რომლის საწყისი პარამეტრებია:

— მანძილი დედამიწის ზედაპირიდან — 36.610 კილომეტრი;

— დედამიწის გარშემოვლის პერიოდი — 24 საათი და 38 წუთი;

— ორბიტის დახრილობა 0,4 გრადუსი.

კავშირისა და ტელევიზიის მრავალარხიანი სრულყოფილი სარეტრანსლაციო აპარატურის გარდა, თანამგზავრზე არის: დედამიწისადმი ზუსტი ორიენტაციის სამღერძა სისტემა, მზეზე დამოუკიდებელი დამიზნებისა და გაყოლების მზის ბატარეებით აღჭურვილი ენერგომომარაგების სისტემა, ორბიტაზე კორექციის სისტემა, თერმორეგულირების სისტემა. რადიოტელემეტრიული სისტემა დედამიწაზე საბორტო სისტემათა მონაცემების გადმოსაცემად, რადიოსისტემა ორბიტის პარამეტრების ზუსტი გაზომვისა და თანამგზავრის მართვისათვის.

თანამგზავრ „რადუგაზე“ დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკომანდო-საზომი კომპლექსი ახორციელებს თანამგზავრის მართვას. თანამგზავრის კავშირის დასამყარებელი და სატელევიზიო აპარატურის ექსპლოატაცია იწარმოებს დასახული პროგრამის შესაბამისად.

თანამგზავრ „რადუგას“ საერთაშორისო სარეგისტრაციო ინდექსია „სტაციონარ-2“.

„კოსმოსი-1165“

1980 წლის 21 თებერვალს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-1165“.

თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას. აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

გულითადი შესვედრები

კაცთმოყვარეობა და მეგობრობა

საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა სირიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ამხანაგი რამო შეიხო. იგი გაეცნო თბილისის ღირსშესანიშნაობებს, დაათვალიერა საქართველოს ხელოვნების მუზეუმი, ჩაის საწონი ფაბრიკა, ვარკეთილის საბჭოთა მეურნეობა, კომკავშირული ქალაქი ბორის ძნელაძე, თბილისის ავლაბრის არალეგალური სტამბა-მუზეუმი, იყო მცხეთაში და გორში.

ხალხთა მეგობრობის მუზეუმში ამხანაგ რამო შეიხომ დიდი ინტერესით დაათვალიერა მუდმივი ექსპოზიცია, რომელიც ასახავს ქართველი ხალხის საბრძოლო თანამეგობრობას დიდ სამამულო ომში. სტუმარმა მუზეუმის შთაბეჭდილებათა წიგნში ასეთი ჩანაწერი დატოვა: „საბჭოთა კავშირის ხალხთა და მისი სახელოვანი შეიარაღებული ძალების ურღვევი მეგობრობა ფაშიზმის შავბნელ ძალებზე გამარჯვების საწინდარი გახდა. არაბული სამყაროს მთელი პროგრესული ძალები და მათი ავანგარდი—არაბული ქვეყნების კომუნისტური პარტიები, არაბი ხალხი დიდად აფასებენ საბჭოთა ხალხს, რომელმაც უდიდესი მსხვერპლი გაიღო სოციალიზმისა და კომუნიზმის იდეალების გამარჯვებისათვის. ხალხთა ძმური კავშირი ჩვენს საერთო მტრებთან საბოლოო გამარჯვების აუცილებელი პირობაა. გაუმარჯოს ჩვენი ხალხებისა და პარტიების მარადიულ და ურღვევ მეგობრობას!“

სირიელ სტუმარს (იგი ეროვნებით ქურთია) განსაკუთრებით მეგობრული შეხვედრა გაუმართეს საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებაში. აქ შეიკრიბნენ საზოგადოების აქტივისტები, ქურთი ინტელიგენციის წარმომადგენლები.

აღინიშნა, თუ რა დიდი წარმატება ხვდა წარშან სირიაში საბჭოთა კავშირის კულტურის დღეებს, რომელსაც საბჭოთა საქართველო წარმოადგენდა, რაოდენ გულთბილად უმასპინძლეს სირიელებმა ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილთ და, რომ ასეთივე მეგობრული ღონისძიება — სირიის კულტურის დღეები წელს საქართველოში გაიმართება.

სტუმარი გაეცნო ქურთი ინტელიგენციის წარმომადგენლებს: საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტგანათლების რესპუბლიკური საბჭოს კონსულტანტს ქერიმ ანკოსს, მეცნიერებათა კანდიდატებს მამედ კალევს, ლუსია ალოევას, საქართველოს დამსახურებულ პედაგოგს პოეტ აზიზ სლოევს, ქურთული რადიოგადაცემის რედაქტორებს ლეილა ჩალოიანს და ბაპარ კასოევას, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატს აზიზ ბაგიროვს და სხვებს. საუბარში მათ სტუმარს უამბეს, თუ რა დიდი შესაძლებლობანია საბჭოთა კავშირში მათი ეროვნული კულტურის განვითარებისათვის, რომ აქვთ თავიანთი თეატრი, ანსამბლები, რადიოგადაცემები ქურთულ ენაზე და რომ სცემენ წიგნებს მშობლიურ ენაზე.

დასასრულ სტუმრის პატივსაცემად გაიმართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდა ქურთული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი.

სირიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს ამხანაგ რამო შეიხოს მეგობრული შეხვედრა მოუწყვეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში. სირიელმა სტუმარმა უდიდესი მადლობა გადაუხადა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობასა და საქართველოს მთავრობას იმ დიდი ყურადღებისათვის, რომელსაც ისინი მცირერიცხოვანი ერების, კერძოდ, ქურთი მოსახლეობის მიმართ იჩენენ, აღნიშნა, რომ ხალხთა შორის მეგობრობა იგრძნობოდა ყველგან, სადაც კი მას შეხვედრები ჰქონდა. „თქვენი რესპუბლიკა, მისი ხალხი დიდად კაცთმოყვარე, ინტერნაციონალისტური სულისკვეთებისაა“ — აღნიშნა სტუმარმა.

ლ. ხუგულური.

თეთრი ოლიმპიადა:

XII OLYMPIC WINTER GAMES LAKE PLACID 1980

დღე მეათე

21 თებერვალს XIII ზამთრის ოლიმპიადის მეათე დღეს მედლიების ოთხი კომპლექტი გათამაშდა — თხილამურებით ესტაფეტაში (ქალები, 4X5 კმ), 1500 მეტრზე (იგივურებით სწრაფრბენაში, ფიგურული (იგივურაობასა (ვაჟები) და გიგანტური სლალომში (ქალები).

ესტაფეტაში საბჭოთა სპორტსმენებმა — ლენინგრადელმა ნინა ბალდიჩევამ, სიკტიკკარელმა ნინა როჩევამ, იეკატერინბურგელმა ნინა კულაკოვამ და სიკტივკარელმა რაისა სმეტანინამ (მათ ამ თანმიმდევრობით აიღეს სტარტი) ვეცხლის მედლები მოიპოვეს—1.03.18,30. იყო დრო, როცა ამ სახეობაში ჩვენს ქალებს ვერავინ ჯობნიდა, მაგრამ ახლა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლები დაწინაურდნენ. ლეიკპლისიდში სწორედ მათ გაიმარჯვეს (მარლის როსტოკი, ჰაროლა ანდიგი, ვერონიკა ხესე და ბარბარა პეტცოლდი) — 1:02.11,10. მესამე სარიზო ადგილი წილად ხვდათ ნორვეგიელებს—1:04.13,50.

მორიგი, მეოთხე ოქროს მედალი მოიხვეჭა მოციგურავე ერიკ ხაიდენმა (აშშ). ამჯერად მან 1500 მეტრზე სწრაფრბენაში გაიმარჯვა — 1.55,44 (ახალი ოლიმპიური რეკორდი). **ხაიდენი ოლიმპიადების ისტორიაში ერთადერთი ვაჟია, რომელმაც ერთდროულად ოთხი პირველი ადგილის მოპოვება შეძლო.** ჩვეულებრივ ვაჟთა (იგივურაობაში პირველობა ხუთ დისტანციაზე თამაშდება. ვნახოთ, რას იზამს ხაიდენი. ისე კი, უკვე მოულოდნელობა აღარ იქნება, რომ ამ სახეობებში ამერიკელ სპორტსმენმა ბოლო დისტანციაზეც (10.000 მეტრი) იმარჯვოს. (ჯერჯერობით ოლიმპიადების თავისებური რეკორდი დამყარებულია ქალთა შორის, რომლებიც 4 დისტანციაზე ასპარეზობენ. 1964 წელს ინსბრუკის ოლიმპიადაზე საბჭოთა მოციგურავემ ლიდია სკობლიკოვამ ოთხივე დისტანციაზე გაიმარჯვა და ოთხი ოქროს მედალი მოიპოვა). ხაიდენის—კვალდაკვალ II-III ადგილებზე გავიდნენ ნორვეგიელები კ.-ა. სტენსხიემმეტის (1.56,81) და ტ. ანდერსენი (1.56,92). **საბჭოთა სპორტსმენთაგან საუკეთესო იყო კიეველი იური კონდაკოვი. მან მეხუთე ადგილი დაიკავა (1.57,36).** დანარჩენ საბჭოთა მოციგურავეთა შედეგები ასეთია: მერვე ადგილზე გავიდა მოსკოველი ვლადიმერ ლობანოვი (1.59,30). ხარკოველმა ევგენი სოლუნსკიმ კი ა. ერიგიანთან (ბელ) ერთად მეცხრე-მეათე ადგილები გაიყო (1.59,47).

ქალთა გიგანტურ სლალომში ყველას აჯობა ლიხტენშტეინელმა ჰანი ვენცელმა — 2.41,66. ეს ოქროს მედალი ამ ოლიმპიადაზე მისი მეორე ჯილდოა (ადრე მან სწრაფდაშვებაში ვერცხლის მედალი მიიღო). ჰანი ვენცელმა მართლაც რომ დიდად ასახელა თავისი პატარა ქვეყანა და განა მარტო მან? გაიხსნეთ ვაჟთა გიგანტური სლალომი, ჰანის ძმა ანდრეასი ხომ ვერცხლის მედალს დაეუფლა, ფრიგო არ იქნება თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ ლიხტენშტეინი — ავსტრიისა და შვეიცარიის საზღვრებს შორის „ჩაჭედილი“ ამ სახელმწიფოს ფართობი სულ რაღაც 157 კვადრატული კილომეტრია და მისი მოსახლეობა 22 ათას კაცს არ აღემატება... გიგანტურ სლალომში მეორე ადგილზე გავიდა ი. ეპლე (გფრ) — 2.42,12. მესამე ადგილი წილად ხვდა პ. პელენს (საფრანგეთი) — 2.42,41.

ვაჟთა შორის ფიგურულ იგივურაობაში პირველობა მოიპოვა რობინ კაზინსმა (ინგლისი) — 189,48 ქულა (ადგილების ჯამი — 18). ვერცხლის მედალი მიიღო იან ჰოფმანმა (გდრ) — 189,72 (15), ბრინჯაოსი — ჩარლზ ტიკნერმა (აშშ) — 187,06 (28). ლენინგრადელი იგორ ბობრინი მეექვსე ადგილზე გავიდა, ხოლო მოსკოველი კონსტანტინე კოკორა — მეათეზე. ამ ასპარეზობის ერთ-ერთი ფავორიტი მოსკოველი ვლადიმერ კოვალოვი ავადმყოფობის გამო შეჯიბრებას გამოეთიშა.

22 თებერვლისათვის ლეიკ-პლესიდის ოლიმპიადაში მონაწილე 37 ქვეყნიდან 19 ქვეყნის სპორტსმენებმა მოიპოვეს მედლები.

ყველაზე უკეთ ასპარეზობენ სსრ კავშირისა (18 მედალი, აქედან 8 ოქროსი, 5-5 — ვერცხლისა და ბრინჯაოსი) და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის (19 მედალი, აქედან 7 ოქროსი, 6-6 — ვერცხლისა და ბრინჯაოსი) ოლიმპიელები.

საფეურნირო ორბიტა

მეგილდოსნობა. კლაიპედაში დამთავრდა სსრ კავშირის ზამთრის ჩემპიონატი მე-2 ვარჯიშში (ოლიმპიური პროგრამა). ვაჟთა შორის პირველობა მოიპოვა დინამოელმა ვლადიმერ ეშეევმა — 267.4 ქულა. მეორე-მესამე ადგილები შესაბამისად დაიკავეს არმიელებმა გ. კირიჩენკომ (2577) და ა. კისლიცინმა (2561 ქულა). ქალთა შორის დაწინაურებული იყო თბილისის „ბურევესტნიკის“ წარმომადგენელი ქეთევან ლოსაბერიძე, მაგრამ ასპარეზობის დასკვნით ეტაპზე მას ორი ქულით გაუსწრო არმიელმა ნ. ბუტუზოვამ (2615 ქულა). ქეთევანი ამჯერად მეორე ადგილს დასჯერდა (2613). მესამე იყო არმიელი ვ. კოვპანი, ცალკე გათამაშდა ჩემპიონთა ჯილდოები 25 და 18 მეტრ დისტანციებზე. ვაჟთა შორის ორივე მანძილზე ყველას აჯობა ა. კისლიცინმა.

ქალთა შორის 18 მეტრზე სროლაში უძლიერესი იყო ქ. ლოსაბერიძე, 25 მეტრზე — ნ. ბუტუზოვა.

ფეხბურთი. გრძელდება წინასაოლიმპიადო მერვეეთი ტურნირები. მორიგი შეხვედრა იტალიელებმა (მეორე ჯგუფი) გაბართეს თურქებთან და გაიმარჯვეს — 2:0. ამ ჯგუფში გამართული ორ-ორი მატჩის შემდეგ იტალიელებს 4 ქულა აქვთ, იუგოსლავებს — 2, თურქებს — 0. ორი ტურის შემდეგ მესამე ჯგუფში ლიდერობს ბელგიის ნაკრები (4 ქულა), რომელმაც მორიგი მატჩი საფრანგეთის გუნდს მოუგო — 4:2. ესპანელებსა და ფრანგებს თითო ქულა აქვთ.

ცურვა. ლენინგრადში დაიწყო სსრ კავშირის ზამთრის ღია ჩემპიონატი. შეჯიბრებაში საბჭოთა სპორტსმენებს გარდა მონაწილეობდნენ უნგრეთის, კუბის, კვიპროსის, პოლონეთის, რუმინეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, საფრანგეთის, ფინეთისა და ჩეხოსლოვაკიის მოცურავეები. გაიკანონი პირველი გამარჯვებულები: მოსკოველი ო. კლეევაკინა და კიეველი ს. კრასიუკი (100 მ თავისუფალი სტილით), ლენინგრადელი ს. ვარგანოვა და ვილნიუსელი რ. ეულპა (200 მ. ბრასი), უკრაინელი სპორტსმენები ს. ტიურინა და ს. ფესენკო (200 მ ბატერფლაი).

მძლეოსნობა. იტალიელმა კარლო მატეოლიმ 5 კილომეტრზე სპორტულ სიარულში გამართული ასპარეზობა მსოფლიო მიღწევით (დახურულ ნაგებობებში) დაამთავრა — 18.59,2. მან ეს შედეგი აჩვენა მილანის სპორტის სასახლის 200-მეტრიან სარბენ ბილიკზე.

რუსთაველის პრემიები გადაეცათ

22 თებერვალს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სხდომათა დარბაზში რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატის დიპლომები და სამკერდე ნიშნები გადაეცათ ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეებს, რომლებსაც 1979 წელს მინიჭებულ ეს მაღალი წოდება ლიტერატურის, ხელოვნების და არქიტექტურის დარგში საუკეთესო ნამუშევრებისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ზ. პატარიძემ ლაურეატის დიპლომები და სამკერდე ნიშნები გადასცა სსრ კავშირის სახალხო არტისტს, სოციალისტური შრომის გმირს ვ. ანჯაფარიძეს, პოეტ ფ. ხალვაშს, საქართველოს სახალხო არტისტს, რეჟისორ თ. აბულაძეს, საქართველოს სახალხო არტისტს, დირიჟორ ჯ. კახიძეს, რეჟისორ ი. ჩხაიძეს, ოპერატორ ი. ონოფრიშვილს, ავრეთვე საქართველოს სახალხო მხატვრის ს. ქობულაძის ვაუს მ. ქობულაძეს. ს. ქობულაძე რუსთაველის სახელობის პრემიით დაჯილდოებულია სიკვდილის შემდეგ.

ამხანაგმა ზ. პატარიძემ გულთბილად მიულოცა ლაურეატებს, ახალი შემოქმედებითი წარმატებები უსურვა მათ და გამოთქვა რწმენა, რომ საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენი კიდევ ბევრ მკაფიო მხატვრულ სახეს, დასამახსოვრებელ ნაწარმოებებს შექმნიან, რომლებშიც შთაგონებით ადიდებენ მშრომელ ადამიანს, კომუნიზმის მშენებელს. — რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატობა, — თქვა მან უწინარეს ყოვლისა ნიშნავს, რომ საყოველთაოსახალხო აღიარება პოვეს თქვენმა შესანიშნავმა ნაშუშევრებმა, რომლებმაც დაამშვენეს ჩვენი ლიტერატურა და ხელოვნება, გაამდიდრეს საბჭოთა ხალხის სულიერი კულტურის ოქროს ფონდი.

დაჯილდოებულთა სახელით გამოსულებმა — რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატებმა ვ. ანჯაფარიძემ, ფ. ხალვაშმა, თ. აბულაძემ უღრმესი მადლობა გადაუხადეს პარტიასა და მთავრობას მათი შრომის მაღალი შეფასებისათვის. ლაურეატის დიპლომებისა და სამკერდე ნიშნების გადაცემას ესწრებოდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ო. ჩერქეზია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კულტურის განყოფილების გამგე ა. ალექსიძე, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქართველოს სსრ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე გ. აბაშიძე. (საქინფორმი).

● ●

საქართველოს კომპარტიის გარდაბნის რაიკომის პლენუმი

გაიმართა საქართველოს კომპარტიის გარდაბნის რაიკომის პლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

პლენუმმა პარტიის გარდაბნის რაიკომის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრობის მოვალეობისა განგაასთავისუფლა ამხ. გ. შ. ქვანტალიანი მისი სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო.

პარტიის გარდაბნის რაიკომის პირველ მდივნად და ბიუროს წევრად არჩეულია ამხ. ო. მ. ბოკერია.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ამხ. ბ. ვ. კოლგინმა. (საქინფორმი).

23 თებერვალი საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღე!

ჩვენი არმია მშვიდობის არმიაა

რადიოსადგურთან რომ მივიდა, უმცროსმა სერჟანტმა გიორგი ქავთარაძემ უხმოდ მოაგლო თვალი ხელქვეითებს და რაგით რახმ ალიევს ცოტა არ იყოს გულნაკენმა უთხრა:

— მეთაურმა „სამიანი“ დაგვიწერა თქვენი მოქმედებისათვის. ერთად უნდა ვეძებოთ ჩავარდნის მიზეზი.

ვერ დაძლია ამოცანა ახალგაზრდა ჯარისკაცმა, ნერვებმა უღალატა. მთებში ამ გასვლამდე კი ქავთარაძის ეკიპაჟი ლიდერობდა შეჯიბრებაში. და აი, გულსატკივნი ჩავარდნა... ცხადია, რომ ახლა წინ გავლენ სერჟანტ ვლადიმერ კუდრიაშოვის ხელქვეითები.

და აქ გიორგიმ გვერდით დაინახა თავისი ამხანაგი, შეჯიბრებაში მუდმივი მეტოქე. კუდრიაშოვმა, ეტყობა, უკვე იცოდა, რაშიც იყო საქმე და მეგობრულად ჰკითხა ქავთარაძეს:

— ეს როგორ დაემართა ალიევს? ერთ თვეზე მეტ ხანს უშეცდომოდ მუშაობდა, ახლა კი...

— ეტყობა, დაიბნა: წინათ დაჩოუკიდებლად არ უმუშევია... სხვათა შორის, შენი კროშკინის საქმე როგორღაა?

— ამოკანა დაძლია, — უპასუხა კუდრიაშოვმა, — არც ერთი შეცდომა არ დაუშვია.

— იცი, ვალოდია, — განაგრძო საუბარი ამხანაგთან უმცროსმა სერჟანტმა ქავთარაძემ, — ეტყობა, მე რაღაცაში შეცდომა დავუშვი. კლასში ალიევს ყველფერი კარგად გამოუდიოდა...

ასე გულითადად საუბარში აანალიზებდნენ მეტოქე-მეგობრები ახალგაზრდა ჯარისკაცის ჩამოყალიბებას, ეძებდნენ მის გაწვრთნილობაში სუსტ მხარეს, რომელმაც გამოიწვია წარუმატებლობა მთებში. ქავთარაძე და კუდრიაშოვი, თუმცა სხვადასხვა პროფილის სპეციალისტები არიან, კარგად უგებდნენ ერთმანეთს.

რაც შეეხება მათს ინდივიდუალურ სწავლებას, ოსტატობისაკენ ისინი სხვადასხვანაირად მიდიოდნენ. გიორგი, მაგალითად, ეკიპაჟის მეთაურობამდე გაიზარდა რიგითი რადიოტელეგრაფისტიდან და ახლა, ბუნებრივია, საქმაოდ მაღალი ჩვევები აქვს ტექნიკურ მუშაობაში და ხელქვეითთა სწავლებაში. თუმცა, უნდა ითქვას, ნახევარი წლის წინათ ყოველთვის და ყველაფერში როდი ჰქონდა მტკიცე კონტაქტი ეკიპაჟთან. ზოგჯერ ხდებოდა, — ვფიქრობ, ასეა, — უპასუხა კუდრიაშოვმა, — სულ ცოტა ხანია მსახურობს...

— მართალი ხარ, ვალოდია, — დაეთანხმა ქავთარაძე მეგობრის აზრს. პრაქტიკას უნდა დავაწვეთ...

— როგორ წავა მომიჯნავეთა შესწავლის საქმე? — დაინტერესდა სერჟანტი და ჰკითხა ეკიპაჟის მეთაურს, — საკაპარატო შენმა ხელქვეითებმა შეისწავლეს, მასზე მუშაობის ხერხების დამუშავება კი მხოლოდ დაიწყეს...

— მაგის დროსაც, ვიპოვით, — გულდაჯერებულად უპასუხა ამხანაგმა გიორგიმ. — მოდი, თენდაც დღის განვაგრძოთ მეცადინეობა.

...ეს შარშან, წლის ბოლოს იყო. მივიდა მაშინ ქავთარაძე კუდრიაშოვთან და ეუბნება:

— მინდა ჩემს რადიოტელეგრაფისტებს საკაპარატოში მუშაობა ვასწავლო. დამეხმარები?

— სიამოვნებით. როდის შეგიდგეთ სწავლებას?

მეორე საღამოსვე შეიკრიბნენ ქავთარაძის ხელქვეითნი კლასში. მათთან მეცადინეობას სერჟანტი კუდრიაშოვი ატარებდა. მიმართავს სქემებს და მაკეტს, აუხსნა საკაპარატოს მოწყობილობა, უამბო მის ტაქტიკურ-ტექნიკურ მონაცემებზე. შემდეგ დაიწყო პრაქტიკული მუშაობა.

რადიოსადგურის ეკიპაჟიც არ დარჩენილა ვალში. მისი მეომრებიც დაეხმარნენ სერჟანტ კუდრიაშოვის ხელქვეითებს მომიჯნავე სპეციალობათა დაუფლებაში. ასე რომ, საბოლოო ანგარიშით თრიე კოლექტივი მოგებული დარჩა.

კ. ალმაზოვი,
კაპიტანი.

მეგობრები

გამარჯვების წყარო



სწავლა ● საბრძოლო წვრთნა

სურათებზე: სამხედრო და პოლიტიკური მომზადების ბევრი ფრიადოსანია № სასაზღვრო ნაწილში. ერთ-ერთი მათგანია საგუშაგოს წარჩინებული მესაზღვრე იური სინკო (ზემოთ), რომელიც სისტემატურად იმაღლებს პოლიტიკური განათლების დონეს; კარგი მომზადება აჩვენეს მთიან პირობებში საბრძოლო წვრთნის დროს ამ ნაწილის მებრძოლებმა (ქვემოთ). მათ ყველა წინაალმდეგობა წარმატებით გადალახეს და ფრიადზე შეასრულეს საბრძოლო დავალება.

ნ. ანასტასიევის (საქინფორმის ფოტოქრონიკა) **და ვ. აბულაძის** ფოტო.

ფოიერვერკი თბილისში

საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღისადმი მიძღვნილი ფოიერვერკის ოცი ზალვიდან თითოეული ათასობით ფერად ვარსკვლავს აციმციმებს თებერვლის ცაში. სახალუტო-საარტილერიო რაზმის მეთაურის ა. აბრამიანის სიგნალით ყოველ ოცდაათ წამში „აშკაშა“ გირლანდები აციაფდება მთაწმინდის, კომკავშირული ხიბინის ლისის ტბის თავზე.

ბევრ უკვე 85 წელია მშვიდობიანად ისვრიან ნ — სამხედრო ნაწილის ქვეგანაყოფის ქვემეხები, რომელმაც ბრძოლები გაიარეს ვოლგიდან ვისლამდე. მისი პირადი შემადგენლობის დიდი უმრავლესობა ნამდვილი „მეზარბაზნეები“, საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების წარჩინებულნი არიან, და მაინც სადღესასწაულო სალუტებსა და ფოიერვერკებში მონაწილეობის მაღალი პატივი მხოლოდ საუკეთესოთაგან საუკეთესოებს ხვდებათ ხოლმე. სადღესასწაულო სალუტები არტილერისტებისაგან მოითხოვს შეთანხმებულ მოქმედებას, დისციპლინიანობას. დღესასწაულის ახლანდელ მონაწილეთა შორის არიან ოფიცრები ა. ლეპიოშკინი, შ. ბაიაძე, შ. შაშკოვი, ი. ტრტიკოვი, რიგითები ვ. ოვჩინიკოვი, ი. შეპაკინი და სხვები.

— დღეს შალითა აქვთ ჩამოცმული 85-მილიმეტრიან ქვემეხებს, მტრებს რომ შიშის ზარს სცემდნენ დიდი სამამულო ომის წლებში, — გვეუბნება ა. აბრამიანი, — ფოიერვერკში სპეციალური მოარტილერები „მონაწილეობენ“. უნდა ვთქვა, რომ ყველა გასროლა ერთდროულად ხდება, „ელენა“ შექმნილი ელექტრონული მოწყობილობის წყალობით. გადაიქუხებს სალუტი, თბილისელთა სახლებში გაგრძელდება დღესასწაული, ზოლო არტილერისტები კიდევ რამდენიმე საათს დასტკბებიან ქალაქელებთან, სანამ ლოგიკურად საგულდაგულოდ გაწმენდნენ. ეს მეორმარცხენა სადაგი დღეებია, რომლებიც განაგრძობენ მამა-პაპათა სახელოვან ტრადიციებს. ალბათ ამიტომაც მოისმის მშვიდობიანი ქალაქიდან ყოველ გვიანგვიანობამდე ... ეს ... ოთეული წლის წინანდელი გამარჯვების ზალვების ექო. (საქინფორმი).

23 თებერვალი

ხმა... კონვერტში

კვირადღეს დილით ჯარისკაცის დედამ ნინო ნიკოლოზის ასულმა ხანაძემ ის იყო დაეპირა ბოსტანში მუშაობა დაეწყო, მაგრამ კარი დააკაკუნეს. ზღურბლზე ფოსტალიონი გამოჩნდა.

— შენთან წერილია, ნინო, — უთხრა მან და პატარა პაკეტი გაუწოდა...

შვილის ალექსანდრეს წერილი იყო სამხედრო ნაწილიდან — აი ნაცნობი დასაბრუნებელი მისამართი. მაგრამ „კონვერტზე ხელი რატომ არის უცნობი? ღმერთმა ნუ ქნას, ცუდი ამბავი ხომ არაფერია?

აცახცახებული თითებით გახსნა ცისფერი კონვერტი. იქიდან გადმოვარდა ოთხად დაკეცილი ქაღალდის ფურცელი, ვიწრო ყავისფერი ლენტი ჰქონდა შემოკრული. ნინო გაკვირვებით სინჯავდა. შემდეგ დაინახა, რომ კონვერტში მარათიც იდო. იქ კი სულ სამი სტიქონი იყო: „ყური დაუგდეთ. მაგნიტოფონია“.

დედას ბოსტანი დაავიწყდა. საათიც არ გასულიყო, რომ სოფლის კლუბის გამგეს მიადგა კარზე. ის საუზმობდა. რომ გაიგონა თხოვნა, ფირი „წამიკითხეო“, მაგიდაზე ჩაი დაულეველი დატოვა და მოკლედ უთხრა:

— წავიდეთ!

..მაგნიტოფონის პანელზე სწრაფად ბრუნავდნენ ბრჭყვიალა გორგოლაჭები. მათი მეშვეობით ერთი კოჭიდან მეორეზე ნელა გადადიოდა ყავისფერი ლენტი. თავდაპირველად მხოლოდ მსუბუქი ფონი და ეშვიათი შრიალი ისმოდა და უცებ მთელ ოთახში გაისმა ბარიტონი:

„პატივცემულო ნინო! გელაპარაკებით იმ სამხედრო ნაწილის მეთაური, რომელშიც მსახურობს თქვენი ვაჟიშვილი ალექსანდრე. მოკლეო მოგახსენებთ. სოლოთ და გულით მინდა მადლობა მოგახსენოთ იმისათვის, რომ შვილი გაგიზრდიათ ნამდვილ საბჭოთა პატრიოტად, სამსახურის პირველსავე წელს იგი საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსანი გახდა. სწრაფად დაეუფლა რამდენიმე სპეციალობას, ამას წინათ კი ტექტიკურ სწავლებაზე სანიმუშო მოქმედებისათვის მას თვით გენერალმა გამოუცხადა მადლობა“.

მაგნიტოფონიდან კიდევ რაღაც სიტყვები მოისმოდა, მაგრამ ნინო მეცილვარეებისაგან ცუდად არჩევდა მათ. ხელსახოცით იწმენდდა სიხარულის ცრემლებს. უკანასკნელი სიტყვები მაინც დაიხსომა:

„ვისურვებთ ჯანმრთელობას და შრომაში წარმატებას. ელოდეთ, შესაძლოა, თქვენი შვილი ჩამოვიდეს თქვენთან შვებულებაში, ნახვამდის, ახლა კი მოუსმინეთ ალექსანდრეს“...

— როგორ, თვითონ სანდრო მელაპარაკება? — რატომღაც ჩურჩულით ჰკითხა ქალმა კლუბის გამგეს.

— აბა როგორ? ძალიან ადვილი შესაძლებელია...

— გამარჯობა, დედა! — გაისმა უცებ წკრიალა ხმა — ხომ კარგად ხარ? ჩემთან ყველაფერი რიგზეა, ოღონდ მენატრებით. მაგრამ არა უშავს რა, დრო აქ ჩქარი მატარებელივით მიდის. და მენანება, რომ დღეღამეში მხოლოდ 24 საათია. ძლივს ვასწრებთ ძმის გაკეთებას, რისი გაკეთებაც გვეკუთვნის, გადაეცი სალამი ჩემს ამხანაგებსა და ნაცნობებს, გეხვევი და გკოცნი. არ მოიწყინო!“.

ნინო სიხარულით ტიროდა და იღიმებოდა.

და გორის რაიონის სოფელ კარალეთის კოლმეურნე ხანთაძის სახლში გახარებული მეზობლების განუწყვეტელი სტუმრობა დაიწყო. ვიღაცამ მაგნეტოფონი მოიტანა, დროებით დატოვა: სოფელმა რამდენჯერმე მოისმინა მოლაპარაკე წერილი, ბედნიერ დედასთან ერთად, ამაყობდნენ და ხარობდნენ მეზობლები თავიანთი ახალგაზრდა თანამემამულის წარმატების გამო.

ხანთაძის სახლში მაგნიტოფონის პატარა ლენტი ოჯახური რელიკვია გახდა.

ნ. ალექსეევი.

სამხედრო ნაწილიდან წერილი მოვიდა

ხმა... კონვერტში

კვირადღეს დილით ჯარისკაცის დედამ ნინო ნიკოლოზის ასულმა ხანაძემ ის იყო დაეპირა ბოსტანში მუშაობა დაეწყო, მაგრამ კარი დააკაკუნეს. ზღურბლზე ფოსტალიონი გამოჩნდა.

— შენთან წერილია, ნინო, — უთხრა მან და პატარა პაკეტი გაუწოდა...

შვილის ალექსანდრეს წერილი იყო სამხედრო ნაწილიდან — აი ნაცნობი დასაბრუნებელი მისამართი. მაგრამ „კონვერტზე ხელი რატომ არის უცნობი? ღმერთმა ნუ ქნას, ცუდი ამბავი ხომ არაფერია?

აცახცახებული თითებით გახსნა ცისფერი კონვერტი. იქიდან გადმოვარდა ოთხად დაკეცილი ქაღალდის ფურცელი, ვიწრო ყავისფერი ლენტი ჰქონდა შემოკრული. ნინო გაკვირვებით სინჯავდა. შემდეგ დაინახა, რომ კონვერტში მარათიც იდო. იქ კი სულ სამი სტიქონი იყო: „ყური დაუგდეთ. მაგნიტოფონია“.

დედას ბოსტანი დაავიწყდა. საათიც არ გასულიყო, რომ სოფლის კლუბის გამგეს მიადგა კარზე. ის საუზმობდა. რომ გაიგონა თხოვნა, ფირი „წამიკითხეო“, მაგიდაზე ჩაი დაულეველი დატოვა და მოკლედ უთხრა:

— წავიდეთ!

..მაგნიტოფონის პანელზე სწრაფად ბრუნავდნენ ბრჭყვიალა გორგოლაჭები. მათი მეშვეობით ერთი კოჭიდან მეორეზე ნელა გადადიოდა ყავისფერი ლენტი. თავდაპირველად მხოლოდ მსუბუქი ფონი და ეშვიათი შრიალი ისმოდა და უცებ მთელ ოთახში გაისმა ბარიტონი:

„პატივცემულო ნინო! გელაპარაკებით იმ სამხედრო ნაწილის მეთაური, რომელშიც მსახურობს თქვენი ვაჟიშვილი ალექსანდრე. მოკლეო მოგახსენებთ. სოლოთ და გულით მინდა მადლობა მოგახსენოთ იმისათვის, რომ შვილი გაგიზრდიათ ნამდვილ საბჭოთა პატრიოტად, სამსახურის პირველსავე წელს იგი საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსანი გახდა. სწრაფად დაეუფლა რამდენიმე სპეციალობას, ამას წინათ კი ტექტიკურ სწავლებაზე სანიმუშო მოქმედებისათვის მას თვით გენერალმა გამოუცხადა მადლობა“.

მაგნიტოფონიდან კიდევ რაღაც სიტყვები მოისმოდა, მაგრამ ნინო მეცილვარეებისაგან ცუდად არჩევდა მათ. ხელსახოცით იწმენდდა სიხარულის ცრემლებს. უკანასკნელი სიტყვები მაინც დაიხსომა:

„ვისურვებთ ჯანმრთელობას და შრომაში წარმატებას. ელოდეთ, შესაძლოა, თქვენი შვილი მალე ჩამოვიდეს თქვენთან შვებულებაში, ნახვამდის, ახლა კი მოუსმინეთ ალექსანდრეს“...

— როგორ, თვითონ სანდრო მელაპარაკება? — რატომღაც ჩურჩულით ჰკითხა ქალმა კლუბის გამგეს.

— აბა როგორ? ძალიან ადვილი შესაძლებელია...

— გამარჯობა, დედა! — გაისმა უცებ წკრიალა ხმა — ხომ კარგად ხარ? ჩემთან ყველაფერი რიგზეა, ოღონდ მენატრებით. მაგრამ არა უშავს რა, დრო აქ ჩქარი მატარებელივით მიდის. და მენანება, რომ დღეღამეში მხოლოდ 24 საათია. ძლივს ვასწრებთ ძმის გაკეთებას, რისი გაკეთებაც გვეკუთვნის, გადაეცი სალამი ჩემს ამხანაგებსა და ნაცნობებს, გეხვევი და გკოცნი. არ მოიწყინო!“.

ნინო სიხარულით ტიროდა და იღიმებოდა.

და გორის რაიონის სოფელ კარალეთის კოლმეურნე ხანთაძის სახლში გახარებული მეზობლების განუწყვეტელი სტუმრობა დაიწყო. ვიღაცამ მაგნეტოფონი მოიტანა, დროებით დატოვა: სოფელმა რამდენჯერმე მოისმინა მოლაპარაკე წერილი, ბედნიერ დედასთან ერთად, ამაყობდნენ და ხარობდნენ მეზობლები თავიანთი ახალგაზრდა თანამემამულის წარმატების გამო.

ხანთაძის სახლში მაგნიტოფონის პატარა ლენტი ოჯახური რელიკვია გახდა.

ნ. ალექსეევი.

ტელევიზია

23 თებერვალი

თბილისი

პირველი პროგრამა: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 10.00 — ზამთრის XIII ოლიმპიურ თამაშებზე 10.20 — შეავხსწავლოთ ქართული ენა (ფ.), 10.50 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმები: „გმირი ლეჭსი, სამღერი“, „კომისარი“, 11.50 — ზამთრის XIII ოლიმპიურ თამაშებზე (მ.), 13.45 — „თბილისი და თბილისელები“ — სატელევიზიო ჟურნალი (ფ.), 14.15 — პირველად ჩვენს ეკრანზე — მხატვრული ფილმი „ჯარისკაცი და სპილო“, 15.35 — „მხედრული დიდება“ — სატელევიზიო ჟურნალი. 16.10 — მულტიპლიკაციური ფილმების სატელევიზიო ფესტივალი „ჯადოსნური ეკრანი“, 16.40 — კადრებთან მუშაობა — თანამედროვე ამოცანათა დონეზე, 17.05 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 18.05 — დოკუმენტური ფილმი, 18.15 „სტუმრად მეგობრებთან“ — მ. ძიძიგურის კონცერტი სომხეთის ტელევიზიით (ფ.), 18.50 — ზამთრის XIII ოლიმპიური ასპარეზობა (მ.), 20.45 — „დღეს საბჭოთა არმიისა და საბჭოთა ფლოტის დღეა“ (მ.), 21.00 — „მოამბე“ (ფ.), 21.30 — საბჭოთა არმიისა და საბჭოთა ფლოტის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო ოსტანკინოს საკონცერტო დარბაზში (მ.), 22.00 — „ვრემია“ (მ.), 22.30 — ზამთრის ოლიმპიური ასპარეზობა (მ.), 22.45 — საბჭოთა არმიისა და საბჭოთა ფლოტის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო (გაგრძელება).

მეორე პროგრამა: 16.10 — ბავშვებისათვის გასართობი „კინოპროგრამა“, 17.10 — კონცერტი, 17.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმების პროგრამა: „შუმილინების ოჯახი“, „ყველა მისი ვაჟიშვილი“, „დონბასის წესრიგლეტარიატის სახელობისა“, 18.55 — „მხატვრული ფილმი „ბალადა ჯარისკაცზე“, 20.20 — „საესტრადო პანორამა“ (ფ.).

მოსკოვი

მეოთხე პროგრამა (თბილისის დროით): 10.00 — დოკუმენტური ფილმები, 10.55 — ჭადრაკის სკოლა, 11.25 — მეცნიერება, 11.55 — მუსიკალური პროგრამა „დღეის ფოტა“, 12.25 — დედის სკოლა, 12.55 — ფილმ-კონცერტი „გადადეს, მამულო“, 14.00 — რუსული ენა, 14.30 — თეატრი ოლიმპიადა, 16.05 — ნორჩთა შემოქმედება, 16.35 — კინომოგზაურობის კლუბი 17.35 — ორენბურგის სახელმწიფო რუსული ხალხური გუნდის კონცერტი 18.05 — ვარსკვლავთმფრცქველი. ტელეფურნალი 18.50 — ვ. ჩიჩკოვი — „ურჩი შვილები“. ტელესპექტაკლი. პირველი ნაწილი 19.55 — ჯანმრთელობა 20.40 — დოკუმენტური ფილმი „გმირობის ძეგლი“ 21.00 — „ძილი ნებისა“ „პატარეზო!“, 21.15 — თხილამურები. რბოლა 50 კილომეტრზე, 22.00 — მ. ი. გლინკას სიმფონიური ნაწარმოებები, 22.30 — დოკუმენტური ტელეფილმი „ამრეის პირას“ 22.40 — მხატვრული ტელეფილმი „ნდობა“. პირველი და მეორე სერიები.

სოფალი

23 თებერვალი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ქეთო და კოტე (21-ე ამხ. IV წარმ.); რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — სიყვარული თელავში; ჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ქველი ვალსი; აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ჩანჩარა; მ. ტეხის თეატრი — ბანანი; ოთხვის დღე; მინიატიურების სახელმწიფო — ნურაგაზრინდები, ნურაგ მოურინდები; რუსთაველის სახელმწიფო დრამატული (რეჟინიგზელთა სახლში) — ბარბეს მილმა გაზაფხულია; „ქართული ფილმის“ თეატრალური სახელმწიფო — ბაბაულას ლურჯები; ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი — „ირინა“. მუსიკალური ფარფატი დგება „ჩხიკვთა ქორწილი“.

რედაქტორი
ბ. ბედინეიშვილი

საქართველოს სახელოვანი წლისთავის აღსანიშნავად

მოსკოვი

21 თებერვალს მოსკოვში გაიმართა მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლებისა და მოსკოვის გარნიონის მეომართა საზეიმო კრება, რომელიც საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 62-ე წლისთავს მიეძღვნა.

პრეზიდიუმში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი დ. თ. უსტინოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ნ. ი. სავინკინი, სსრ კავშირის მინისტრები, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილეები, საბჭოთა კავშირის მარშლები, გვარეობათა ჯარების მარშლები, გენერლები, ადმირალები, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

შეკრებილთა წინაშე სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ, საბჭოთა კავშირის მარშალმა კ. ს. მოსკალენკომ.

საზეიმო კრების მონაწილეებმა მისასალმებელი წერილი გაუგზავნეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს.

(საკდესი).

თბილისი

22 თებერვალს თბილისის საოპერო ოფიცერთა სახლში მოეწყო თბილისის ორგანიზაციის მარშალმა კ. ს. მოსკალენკომ.

საზეიმო კრებას მონაწილეობა მისასალმებელი წერილი გაუგზავნეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს.

(საკდესი).

თბილისი

22 თებერვალს თბილისის საოპერო ოფიცერთა სახლში მოეწყო თბილისის ორგანიზაციის მარშალმა კ. ს. მოსკალენკომ.

საზეიმო კრებას დაესწრნენ ამხანაგები ა. ინაური, გ. კოლბინი, ო. კულიშევი, თ. მენთეშაშვილი, ფ. შარტავა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე.

სალამის დასასრულს გაიმართა კონცერტი.

(საქინფორმი).

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 10050 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. ეკუთვნის ოფსეტური ფენილ საგაზეთო კორეუნი, ხოფარაულის 29. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20